



# ბელაქო



# ვლიდა





რედაქციაში - თუა ქაშაყაძე

საქმედიო კოლეჯი:

ქუთაისი კარიბედი

თბილისი კარიბედი

გინი სტრუქტურა

საქმედიო კოლეჯი

საქმედიო კოლეჯი

მთიანი კარიბედი

საქმედიო კოლეჯი

მთიანი კარიბედი

საქმედიო კოლეჯი



ცუქნიკური ძეგლები:  
მთელი მსხვილი

აღმოსავლური ძეგლები:  
რეკონსტრუქციის

კონსტრუქციისა და რეკონსტრუქციის  
მნიშვნელობა

კონსტრუქციის:  
სიძლიერის გამოყენება

დინამიკისა და სტრუქტურის:  
მნიშვნელობა



ISSN

2023

- 7** რედაქტორის გვერდი  
ბაღდათი - ორი ციხის ამბავი
- 14** EDITOR'S PAGE  
Baghdati - A tale of two castles
- 20** ვლიაჟი 1  
ინტერვიუ კახა ენუქიძესთან
- 26** VOYAGE 1  
Interview with Kakha Enukidze
- 30** ვლიაჟი 2  
ნინოს მარანი
- 36** VOYAGE 2  
Nino's cellar
- 37** ვლიაჟი 3  
შატო ფერსათი
- 41** VOYAGE 3  
Chateau Fersati
- 42** ვლიაჟი 4  
ბადეების მისტერია
- 47** VOYAGE 4  
The mystery of nets

**48** ვოიაჟი 5  
ბაღდათი და მაკრამე

**53** VOYAGE 5  
Baghdati and macrame

**54** ვოიაჟი 6  
არქეოლოგიის სამყაროში

**55** სელის კულტურის გეოპოლიტიკური  
კონტექსტი ძველ კოლხეთში  
დავით ლომიტაშვილი

**68** Geopolitical Context of the Culture of Flax  
in Ancient Colchis  
David Lomitashvili

**80** ნავსნობა საქართველოში  
ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი

**89** Navigation in Georgia  
Nikoloz Tushabramishvili

**94** ვოიაჟი 7  
მხოლოდ მოზარდებისთვის

**98** VOYAGE 7  
For adults only

# ბაღდათის ვიზაჟი


## ბაღდათი

### ორი ციხის ამბავი

ზოგჯერ, სამშობლოს სიყვარული იმ მთაბეჭდილებებით იწყება, რომლებსაც ბუნებასთან შეხვედრისას, ლაშქრობისას, სეირნობისას, ან ძველების მიერ მონათხრობი საინტერესო ლეგენდებისა თუ ფერადი ისტორიების მოსმენისას ვიღებთ.

ბაღდათელებმა კარგად ვიცით, მაგრამ სხვებისთვის ვიტყვი, რომ ჩვენი პატარა ქალაქი დატვირთული საინტერესო ლანდშაფტებითა და გამორჩეული კულტურულ თუ ისტორიულ ძეგლთა სიმრავლით, ის ადგილია, სადაც კიდეც ერთხელ მძაფრად შეიგრძნობა საქართველოს სიყვარული.

ბაღდათში შეგიძლიათ არა მარტო დაისვენოთ ბალნეოლოგიურ კურორტებზე, საირმეში ან ზეკარში, გაგრილდეთ აჯამეთის ალკვეთილიდან მონაბერი რელიქტური მუხისა თუ ძელქვის ტყეების სიოთი, დააგემოვნოთ ადგილობრივ მარნებსა და ღვინის ქარხნებში წარმოებული ციცქა, კრახუნა, ძელშავი, ცოლიკაური, ან კი კასრებში წლებით დავარგებული ესა თუ ის ბრენდი, მოინახულოთ გასაოცარი ჩანჩქერები და კანიონები, არამედ შეძლებთ ეწვიოთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, ნახოთ შუა საუკუნეების ციხესიმაგრეებისა და ტაძრების, ნამონასტერთა თუ ნაეკლესიართა მეტად მდიდარი საგანძური. ეს არის ადგილი, სადაც, გადმოცემის თანახმად, ანდრია პირველწოდებული ზეკრის უღელტეხილით გადმოსულა დასავლეთ საქართველოში და ქრისტიანული სარწმუნოება უქადაგია, უღელტეხილის ყველაზე მაღალ წერტილში კი ერთ-ერთი პირველი ჯვარი აღუმართავს (ამ ადგილს დღემდე "რკინის ჯვარი" ჰქვია). ბაღდათი ის მხარეა, რომლის ცასთანაც სიცოცხლის ბოლომდე პოეტურ ვალში დარჩა აქ დაბადებული, საყოველთაოდ ცნობილი პოეტი, მწერალი, რეჟისორი და დრამატურგი ვლადიმერ მაიაკოვსკი:



**"ვაცში ვახ შენთან,  
ბაღდათის ზესავ,  
თქვენთან ბიძევის  
ღაბვიონებო!"**



ბაღდათი იმერეთში, დასავლეთ საქართველოს თითქმის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს.

ზოგადად უცხონი, რომლებიც ქალაქს ან სოფელს სტუმრობენ, პირველად ადგილის დაარსების ისტორიითა და იქ არსებული ყველაზე დიდი სიძველით ინტერესდებიან.

მეც ასე დავიწყებ ბაღდათის თავიდან გაცნობას. ბაღდათის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები მეტყველებს, რომ აქ მიწათმოქმედთა დასახლებები ჯერ კიდევ გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა, თუმცა, საკუთრივ “ბაღდათი” წყაროებში მე-17 საუკუნიდან მოიხსენიება. მის დაარსებაზე არაერთი საინტერესო მოსაზრება არსებობს.

იქ, სადაც დღეს ბაღდათის სამიტროპოლიტო რეზიდენციაა, შემორჩენილია უძველესი ციხის ნანგრევები, თავის დროზე სწორედ აქ აუგიათ თურქებს ბაღდათის (თხმელის) ციხე. ბაღდათის დაარსების თხმელის ციხისეული ვერსია ძალზე პოპულარული და საინტერესოა. ციხეს პირველად ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსენიებს თავის ნაშრომში “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”, სადაც იგი წერს:

*"... ვახსიხის ზაით ჯითვის ხიონს ხანისწყალი, ბაშლის ფახსათს, აშლის ჩხილოთ და მიჯითვის ხიონს სახხილაშვი. ამაზე აღაშენეს ოსმალთა სიხა თხმელის ხისაბან ჯიხსახს ჩ.ლ.ბ. (1703) ჯახ-აჟა. აშისთვის უშოდას იბაჟთა თხმელის და ვიხვად უშოდა აშას ბაღდათი, ჯაბაღე შაბდოშაღე აღაშენეს ჯიხსაიხისა, და ღბანან ან ოსმალნი იან-ბიჩხით და ჯის სავაჟიო ყოველნი, ბახანა უფხოს ტყვენი".*

ბაღდათის (თხმელის) ციხე აღმართული იყო მდინარე ხანისწყლის აღმოსავლეთით მდებარე ბორცვზე. მას დიდი ალბათობით სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. აქედან კარგად მოჩანდა ხანისწყლისა და მდინარე საკრაულის ხეობებიდან გამომავალი გზები, აღმოსავლეთით "ამილახვრის სერი", "ციხე-ყელი", დიშნას ციხის მთა-ბორცვი, ჩრდილოეთით კი ქუთაისისკენ მიმავალი გზა და აჯამეთის ტყე... ამიტომ, არ არის გასაკვირი ბაღდათის ციხის სიახლოვეს პირველი დასახლება თუ გაჩნდებოდა და მას, იქვე მდებარე ციხის სახელი - „ბაღდადი“ დაერქმეოდა.




თუმცა, ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მეცნიერ-თანამშრომელი - ზურაბ თოლორდავა, ერთ-ერთ რუსულ წყაროზე დაყრდნობით, არ გამორიცხავს მეორე ვერსიას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს პირველ მოსაზრებას. ამ ვერსიის მიხედვით, 1660 წლის ნოემბერში იმერეთიდან ასტრახანს დაბრუნებული რუსთა ელჩობის ერთ-ერთი წევრი ივანე ფეოდოროვი, რუსი მოხელეებისადმი წარდგენილ ანგარიშში ახასიათებს იმერეთის სამეფოში 1660 წელს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და წერს:



*"...აქაჲაჲ იოჯიეთის ქაყანას ფლოჯან ეს ჯიხსთავი (საჯიხაჲოჲ, იბჯიხსბა-ბა იოჯიეთის სახეიანი ზაად ნეხიეთი - ზ.თ.) და დაიხანთა ქაყანის მფლოჯა-ლი ციჲახსიანი. ეს ჯიხსთავი სოჲოჲოჲს ქუთაისში, სოლო თუხი ქაჲიხსაჲაჲი ებანან იოჯიეთშიჲ. თუხითა სუცთნის ჲაჲიხი ქაჲით ბაღდათის სიხაში ებან ჯიხსთავის დასახაჲაჲაჲე იოიხოჲ, ხოჲ ეს ჯიხსთავი და დაიხანთა ქაყანის მფლოჯა-ლი ციჲახსიანი თუხითა სუცთანს ყაჲე მიჲვიღნან..."*

თუ ამ ორ მოსაზრებას შევაჯამებთ, მაშინ ციხის დაარსების ვახუშტისეული თარიღი (1703) მანამდე არსებული ციხის გამაგრების, ან მასზე რაიმე საფორტიფიკაციო ნაგებობის მიშენების პერიოდია. ცნობილია, რომ ბაღდადის ციხე ორკომკიანი იყო. იმავე ვახუშტის მიხედვით, 1720 წელს, იმერეთის გავლენიანმა თავადმა სიმონ აბაშიძემ, იმერეთის მეფე გიორგი VI სწორედ ბაღდადის ციხეში მიიწვია სტუმრად და ნადიმის დროს თავის მსახურებს მოაკვლევინა. წყაროების მიხედვით, იმერეთში ლაშქრობისას ტოტლებენმა იმერეთის მეფე სოლომონ I-თან ერთად, 1770 წლის ივნისის ბოლოს ალყა შემოარტყა ბაღდადის ციხეს, თუმცა, რუსმა გენერალმა ციხე ბრძოლით ვერ დაიხსნა თურქებისგან. 30 იანაჩარისგან შემდგარი გარნიზონი მხოლოდ სოლომონ I-ის მეუღლის, დედოფალ მარიამის ჩარევით დანებდა, რომელიც ოსმალებს ციხის დათმობის სანაცვლოდ სიცოცხლის შენარჩუნებას დაჰპირდა.

ბაღდათის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დღემდე ინახება ტოტლებენის არტილერიის 2 აუფეთქებელი ყუმბარა, რომლებიც ციხის სიახლოვეს გასული საუკუნის 60-იან წლებშია ნაპოვნი. მოგვიანებით, სოლომონ I-ის ბრძანებით, XVIII ს-ის 70-იან წლებში ბაღდადის ციხე დაანგრეს, რათა არ შეესრულებინათ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი, რომელიც თურქებს იმერეთის მნიშვნელოვანი ციხეების დაკავების უფლებას ანიჭებდა. უფრო მოგვიანებით, როგორც წყაროები გვამცნობს, ახალციხის საფაშოს საზღვართან სიახლოვის გამო, ბაღდადის (თხმელის) ციხე ზემო და ქვემო იმერეთიდან წამოსხმული ტყვეების ერთგვარი შესაკრები და გასაყიდი ადგილი იყო, საიდანაც ოსმალებს ტყვეები ზეკარის ხეობის გავლით ახალციხეში გადაჰყავდათ. ბაღდადისა და იქაურ მოსახლეთა ყოფისა და კულტურის შესახებ საკმოდ ბევრ ცნობას გვაწვდის ფრანგი დიპლომატის, მოგზაურისა და ვაჭრის, ჟაკ ფრანსუა გამბას ნაშრომი – "მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში" (1821–23 წწ.). ეს ის პერიოდია, როცა დასავლეთ საქართველოში რუსები იწყებენ გაბატონებას.



**გამბა წერს:**

„*პახსიხის ჯაჯათა ჰოსტი  
ილიაეხიან დაჰმოვით და ბაჰა-  
ბაჰაჰით ბალაეში, ხოთაიის  
ააიან 15 პახსითაა დაშოქაბე-  
ლი. შაჰეით აჯათითი სყაში,  
ხოთაიის თხაიის სიხაბე ბი-  
ძაილა და ჩაჰეით ბალაე-  
ში. ბალაეი უნი, თუქაბის  
ბაბაბოლაში აყოფი ჰახაჰა  
ქაქაი იყო. მის სიხანიბაჰი-  
ში 100 იანაჩაიისბან შაბეაჰი  
ბახნიზონი იბა. მაშინ ა  
სახაოლე ფაითო ჰაჰიომა იყო  
ბაჩალები და იბი ახალსიხის  
საფაშოს თუქაბისა და იბაჰა-  
თის მოსახლეობის ბაჰახსა და  
საწყობს ნახმოებენდა. მას  
შაბეა, ჰას მას ხუჯათი და-  
ჰაჰიონა, აქ ალახს ბაჰაჰი და  
ალახს ჰაჰაჰი.*“

საკმარისი აღმოჩნდა, ხანისწყლის გაღმა, ციხის მოპირდაპირე მხარეს საკარანტინო პუნქტის დაარსება, რომ აქაურებს მაჰმადიანები თავიდან მოეშორებინათ და მათთან ურთიერთობა შეეწყვიტათ.

დღეს ბაღდადში ოცდაათი ოდე სახლი დგას, რომლებშიც გლეხები ცხოვრობენ. ერთ-ერთი ამ სახლთაგანი უჭირავს ვინმე ბერძენს, რომელიც იმ არყის სახდელი მეურნეობის კომპანიონია, იმერეთში განლაგებულ რუსის ჯარებს რომ ამარაგებს არყით. ბერძენს აქ არყის სახდელი ორი მოწყობილობით აღჭურვილი ქარხანა აქვს და მასალად ადგილობრივ ღვინოებს იყენებს. ადგილობრივი ღვინო ძალზედ მაგარია, ბევრია და იაფად იშოვება. ბაღდადის გარნიზონი 100 კაცისგან შედგება. მისმა გამგებელმა ოფიცრებმა კარგად მიგვიღეს, საუზმე გაგვიმართეს, შემდეგ კი ციხესიმაგრემდე გამოგვყვანენ, რომელიც წარმოადგენს მიწაყრილითა და ქვის ყორით გარშემოვლებულ ადგილს; ყორე მხოლოდ თიხითაა შელესილი და ზედ მოთავსებულია ორი ზამბულაკი. ციხესიმაგრე აგებულია ხანისწყლის ნაპირებზე, იმ მთების ძირში, რომლებიც იმერეთს ახალციხის საფაშოსგან გამოჰყოფს.”

მე-19 საუკუნის შუა ხანებში თხმელის ციხე თავის სტრატეგიულ მნიშვნელობას კარგავს, სამაგიეროდ, მის ახლომახლო ტერიტორიებზე, განსაკუთრებით კი, ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა თანდათან იზრდება. რაც შეეხება, სახელწოდება "ბაღდათის" ეტიმოლოგიას, დღევანდელი "ბაღდათი", „ბაღდადის“ გვიანდელი, გაქართულებული ვარიანტია.

ბაღდადის ეტიმოლოგიის რამდენიმე ვერსია არსებობს, მათგან, ყველაზე პოპულარული ხალხური გადმოცემით, "ბაღდადი" მომდინარეობს სიტყვისგან "ბაღი" და აღნიშნავს ლამაზ ადგილს. მართლაც, სპარსულად სიტყვა "ბაგა" — ღმერთს, ხოლო "დად" — ნაბოძებს, ე.ი. "ღვთის ნაბოძებს" ნიშნავს, ხალხური ეტიმოლოგიის მეორე ვარიანტის მიხედვით, სახელი ბაღდადი ქალის ქრულ თავსაბურს უკავშირდება. ადგილობრივები ამ ვერსიას დიდი აღფრთოვანებით ყვებიან და არგუმენტად ფერადი საბურველის სადარი, მართლაც საუცხოო ბაღდათური ლანდშაფტები, ხანისწყლის სერპანტები თუ ფერსათის მთები მოჰყავთ და მარტივად გარწმუნებენ მის ნაღვილობაში. ზურაბთოლორდავა ყველაზე სარწმუნოდ ენათმეცნიერგურამბელოშვილის ვერსიას მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც ბაღდადი თურქული სიტყვა BAGDADI-სგან მომდინარეობს, სიტყვას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთის მიხედვით ითარგმნება, როგორც ხის ტკეჩებისგან დამზადებული, თიხით შებათქამებული კედელი, ხოლო მეორე მნიშვნელობით - ხის კედლის ცალკეული ფიცარი. მაშინ აშკარაა, რომ ბაღდადი, იგივე ბაღდათი, მართლაც თურქული სიტყვისგანაა მიღებული და პირველად ის ხის გალავნიან თხმელის ციხეზე მიგვანიშნებს (გ. ბედოიძე "ქართულ ტოპონიმთა განმარტებით – ეტიმოლოგიური ლექსიკონი" 2001 წ.). სამწუხაროდ, ციხის ტერიტორია არქეოლოგიურად დღემდე შეუსწავლელია. ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ისტორიულად ყველაზე ძველი ადგილი სოფელი დიმია. "დიმნა", "დიმი", "დმნი" – ასე მოიხსენიება ციხე, რომლის ნანგრევები ამ სოფელში, მდინარეების – საკრაულასა და ხანისწყლის შესართავთან მდებარეობს. დიმნას (დიმის) ციხეს პირველმა გიორგი ცქიტიშელმა მიაკვლია, ციხეს წყაროებში ლეონტი მროველი და ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსენიებენ. "მეფეთა ცხოვრებაში" ვკითხულობთ: ფარნავაზმა „ერთი გაგზავნა მარგვს ერისთავად და მისცა მცირით მთითგან, რომელ არს ლიხი, ვიდრე ზღურ-რ-ადმდე ეგრისისა, რიონს ზემოთ და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი შორაპანი და დიმნა". "აღწერა სამეფოსა საქართველოსა" გადმოგვცემს:

*"ხანის წყის აღმოსავლით და ყვიხილის ძინახის სახხით, ფახსათის ჯანთას, ახს ეიბი, სელასა ჰყო ვიხვაცან ბაფაან ფახნაოზ სიხა მხ-ჯისა, და ან ახს დაბა" (ქს 4: 752,5-7) სწოხად ან წყახოზა დაყხელობით ივანჯადა ბიოხბი სთიხიშვიცა, ხოთ ცაონსი მხოვანი ეიბნას სიხაზა მი-ანიშნაბს. სავახაულო, ეიბნას სიხას სხახაბიჯი დანიშნადა ჰაონდა. ან მოსახაბას აწყახაბს ეიბნას სიხის მახად ხანსაყხანი ბაობაფიჯი მებახაოზა. მის ანაბაბად, ძნადა მისანველოთი ბოხსვისა და ოხი ძინ-ნახის შესახთავის შეხრავა, შამთხვავითი ნაძვიცად ან ახის. სიხიდან ჯახბად ჯონსხოდებოდა, ხობოხს ხაობაზა ბადეოთავანი, ისა მისბან ბა-ავანი ბზაბი (მათ შოხის, ზახხის ულაცხენიცი და ისტოხიჯი ოძხიცი). ანავა სანიხაჯასო ეიბნას მებახაოზა ვახესინა-ხოლოჰოციონთან, ხობა-ცი-ის, ხობოხს სწობიცი, აბიხის საბაფოს ახთ-ახთი მნიშნაოვანი, მახად სხახაბიჯი ჯანაი იყო, სანიდანს სახთაშოხისო სავაჰიო ბზას ბაეიოდა. ნიჰო ბახაენიშვიცი იზიანაბა ბიოხბი სთიხიშვიცის მოსახაბას ეიბნას სიხის ფუნაიის შესახა და წაიდა: "ან აღბიცს აღბიოზხიჯი მოსახაოზა დუნას ან ნასინახს, სიხის ყაცს აწოდაბს, დუნს ან სიხის ახლომანცო მინაოზაბი მსხოჰაბი მოსახაოზა მთას, სელას ეიბნას სიხა მებახა-ოზს, "სახაიოთას" აწოდაბს, ხას, ხობოხს ჩანს, "სახაის მთასთან" ახის ბიბიჯაბიცი და აწადან აწდა მომინაჯაოზად. ჯახბად მიბნაბიცი სანა-წოდაბა, ხაბან აწადან, ხობოხს სახააში, ისა მოჩანს ვისანი სანახაბი."*

ციხის გარშემოწერილობის სიმცირის გამო (დაახლ. 200 მ), ის მაინც უფრო სათვალთვალოდ ან სასიგნალოდ მიიჩნევა. ბიზანტიურ წყაროებში დიმნას შესახებ ჩანაწერები არ მოიპოვება. განსაკუთრებით საყურადღებოა დიმნას არმოსხენიება ეგრისის ირან-ბიზანტიის ომის (542-562 წწ.) ეპიზოდებში. ამ ფაქტს ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ზურაბ თოლორდავა შემდეგი არგუმენტით ხსნის: „დიმნას ციხე ამ დროს დანგრეულია ლაშების მიერ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში; მეორე ვარაუდით, ციხე დაანგრიეს ბიზანტიელებმა, ან ირანელებმა ეგრისის ირან-ბიზანტიის 542-562 წლების ომის პირველსავე ხანებში, გასაგები სტრატეგიული მოსაზრებით, რომ მოწინააღმდეგეს ის არ გამოეყენებინა თავისი დანიშნულებით (ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ეგრისის 542-562 წწ-ს ირან-ბიზანტიის ომის დროს ბრძოლის ამგვარი ხერხი - ადებული ციხესიმაგრეების დანგრევა - რამდენჯერმე იყო გამოყენებული როგორც ირანელების, ასევე ბიზანტიელების მიერ“ [იხ. ისტორიული ნარკვევი „მეფე ფარნავაზის მოღვაწეობა და დიმნას ციხე“ 2017 წ.], თუმცა, სავარაუდოდ, მე-18 საუკუნის დასაწყისში, ოსმალებმა ციხეს სათვალთვალოდ ფუნქცია აღუდგინეს, მაგრამ 1774 წელს, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ, იმერეთის მეფე სოლომონ პირველის ბრძანებით, დიმნას ციხე თხმელის ციხესთან ერთად დაანგრიეს.



ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია სამხრეთ გალავნის მცირე მონაკვეთი და ციხის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთით ოთხკუთხა კოშკის ნაშთი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე ჰორიზონტალურად დალაგებულ, კირხსნარით ნაგებ, მომცრო ზომის კვადრებს მკვლევარები შუა საუკუნეებს მიაწერენ (სურ. 6), რაც შეეხება სახელწოდებას დიმნა (დიმი), არსებულ მოსაზრებებს შორის ერთ-ერთი საინტერესო პროფესორ პოლიკარპე ჯაჯანიძის ვერსიაა, რომლის მიხედვითაც დიმნას ადრინდელი სახელწოდება "ჯიმანა" უნდა ყოფილიყო. მეგრულად "ჯიმა" ძმას ნიშნავს, ხოლო "ნა" მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსია. "ჯიმანა" ("ჯიმნა") ანუ "ძმათა საცხოვრისი ადგილი". "საძმო" (ძმეთი), სადაც სისხლით ნათესავები - ძმები ცხოვრობენ.

ცნობილია, რომ ფარნავაზის ეპოქაში არგვეთის საერისთავოში კოლხური მოდგმის ტომები სახლობდნენ. დროთა განმავლობაში კი ქართული ენის სიტყვაწარმოებისთვის დამახასიათებელი მეგრულ-ლაზური ბგერა "ჯ" ს "დ" - თი ჩანაცვლების გზით „ჯიმნა“ „დიმნა“ გახდა.



ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლინდა არტეფაქტები, რომლებიც ძირითადად ელინისტურ და გვიან რომაულ ხანას ეკუთვნის, რაც ამყარებს ლეონტი მროველისეულ წყაროს დიმნას შესახებ. დიმნას ციხის აღმოსავლეთ ფერდობზე დაზვერვითი სამუშაოებისას აღმოჩნდა ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვევრების და ამფორის ნატეხები, დამწვარი ბათქაში, ალიზი, ბრინჯაოს კილიტი. ორმოსამარხებში ნანახი არტეფაქტები (რკინის შუბები, ისრისპირები, მძივები, სამკაული, ჩაფები, ჯამები) კი დაახლოებით პირველი საუკუნეებით თარიღდება. 1939 წ. სოფ. დიმში ნაპოვნია ქ.წ. XIV-XIII სს-ის 12 კოლხური ცული. არტეფაქტების ნაწილი დაცულია ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ხოლო ნაწილი ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. ციხის ნანგრევები, უმეტესად, დამიწებულია. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის ინიციატივით დიმნას ციხის ტერიტორიაზე ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები. მისი შემდგომი შესწავლა არქეოლოგიურ ჩარევას მოითხოვს.

თეა ქაშაკაშვილი

ფოტოები ეკუთვნის მოგზაურთა კლუბ „იაგუნდს“

# Editor's Page

## BAGHDATI

### A TALE OF TWO CASTLES

Sometimes love of the motherland starts with the impressions received when one encounters nature, goes hiking, or strolling, or hears exciting legends and colorful stories told by old folks.

Baghdati is the place where you will fall in love with Georgia again: it is a small town with picturesque landscapes, distinguished by multiplicity of cultural and historical sites. In Baghdati not only can you relax at balneological resorts of Sairme and Zekari, cool down with the breeze of relict oak and zelkova woods blowing from Ajameti, try Tsitska, Krakhuna, Dzelshavi, Tsolikouri produced in local wineries and wine plants and/or brandy cellared in barrels for years, see amazing waterfalls and canyons, but you can also visit Baghdati.

Museum of Local Lore, find out about the rich treasure of medieval fortresses, churches and monasteries. It is the place where, as the tradition holds, Andrew the First Called came to western Georgia via Zekari Pass, preached Christian faith and erected one of the first crosses on the highest point of the pass (this place is still referred to as 'Rkinis Jvari' – an iron cross). Baghdati is the place whose sky inspired Vladimir Mayakovski, a famous Baghdati-born poet, writer, director and playwright to the end of his days:

**“I AM INDEBTED TO YOU, THE SKY OF BAGHDATI,  
AND YOU, BRIGHT LIGHTS OF BROADWAY!”**

The poet's house-museum is still attended by many visitors.

Baghdati is situated in Imereti, in central part of Georgia. Anyone visiting a strange city or village, is initially interested in the history of its founding and the ancient attractions. I will start introducing the history of Baghdati in the same way. The artifacts evidenced on the territory of Baghdati prove that land farmers had settled here as early as the Late Bronze Age, but the toponym 'Baghdati' is mentioned in sources from the 17th century. There are a few interesting opinions about founding this town. Ruins of an ancient castle have survived at the place where the metropolitan residence of Baghdadi is situated; it was here that the Turks had Baghdati (Tkhmeli) Fortress built. The version of founding Tkhmeli Fortress is the most popular and exciting.

The fortress is first mentioned by Vakhushti Bagrationi in his work 'Description of the Kingdom of Georgia', where he writes:

**“...ABOVE VARTSIKHE THE RIONI RIVER IS JOINED BY THE KHANISTSKALI.IT FLOWS FROM PERSATI, TOWARDS THE NORTH AND JOINS THE RIONI. ON THIS LOCATION THE OTTOMANS BUILT A CASTLE FROM THE ALDER (TKHMELA IN GEORGIAN) IN 1703. THEREFORE, THE GEORGIANS CALLED IT TKHMEI, AND THEN IT WAS FIRST NAMED BAGHDATI WHEN THEY BUILT A FORTRESS FROM MORTARED STONE. NOW THE OTTOMANS ARE CAMPED HERE AND TRADE EVERYTHING, ESPECIALLY THE CAPTIVES.”**

Baghdati (Tkhmeli) Fortress was erected on the hill situated east of the Khanistskali River. It is highly likely that it had a strategic function. The roads coming out of the Khanistskali and Sakrauli valleys, 'Amilakhvis Serion the east, 'Tsikhe-Keli, the hill of Dimna Fortress, as well as the road leading to Kutaisi and Ajameti forest were perfectly visible from this point. Therefore, it is not surprising that the first settlement would have emerged near Baghdati Fortress and would have been given the name of a fortress situated near Baghdati. However, based on a Russian source, Zurab Tolordava, scientific researcher of Bagdadhi Museum of Local Lore, does not exclude another version, which casts doubt on the first suggestion. According to this version, in November 1660, on returning to Astrakhan from Imereti, Ivan Fyodorov, one of the members of the Russian ambassadorial mission, in his report presented to Russian officials describes the political situation of the Kingdom of Imereti created in 1660:

**“...PRESENTLY, THE COUNTRY OF IMERETI IS CONTROLLED BY THIS GOVERNOR (PRESUMABLY, COMMANDER OF IMERETI ZAAL TSERETELI - Z. T.) AND LIPARTELIANI, RULER OF THE COUNTY OF THE DADIANIS.. THIS GOVERNOR LIVES IN KUTAISI, WHILE THE TURKISH SOLDIERS ARE BASED IN THE SAME IMERETI. THE VIZIER OF THE OTTOMAN SULTAN IS CAMPED IN BAGHDATI FORTRESS TOGETHER WITH HIS SOLDIERS TO HELP THE GOVERNOR BECAUSE THIS GOVERNOR AND THE RULER OF THE COUNTY OF THE DADIANIS, LIPARTELIANI, BECAME VASSALS OF THE SULTAN...”**

If we summarize these two opinions, then Vakhushti's date of establishing the fortress (1703) indicates the time when the castle was reinforced or annexed with a fortification construction to it. As is known, Baghdati Fortress had two towers. According to Vakhushti, in 1720 an influential Imeretian nobleman Simon Abashidze invited King Giorgi VI of Imereti to Baghdati Fortress and during the feast had him murdered by his servants. According to sources, during his campaign in Imereti, General Tottleben besieged Baghdati Fortress together with King Solomon I of Imereti in late June 1770; however, the Russian general failed to liberate the fortress from the Ottomans. The garrison made up of 30 janissaries surrendered only on intervention of Queen Mariam, wife of Solomon I, who promised the Ottomans to save their lives in return for ceding the fortress. Baghdati Museum of Local Lore still preserves two unexploded bombs of Tottleben's artillery, which were found near the fortress in the 1960s.

Later, on the order of Solomon I, in the 1770s the fortress of Baghdati was destroyed in order to avoid accomplishing statute 23 of Kuchuk-Kainarki treaty, which conferred the Turks the right to occupy important fortresses of Imereti. Even later, according to sources, because of proximity to the border of Akhaltsikhe Pashalik, Baghdati (Tkhmeli) Fortress became the gathering and trading point of the captives driven from Zemo and Kvemo Imereti, from where the Ottomans transferred the captives to Akhaltsikhe through the Zekari Valley.

A lot of information is provided about Baghdati and the life and culture of its residents in the work of a French diplomat, traveler and merchant Jacques Francois Gamba - 'Journey in Western Georgia' (1821-23). It is the time when Russians begin to establish their rule over western Georgia.

*Gamba writes:*

**'WE LEFT THE POST OF THE VARTSIKHE COSSACKS BRIGHT AND EARLY AND HEADED FOR BAGHDATI, WHICH IS AT A DISTANCE OF 15 VERST FROM HERE. WE ENTERED AJAMETI FOREST, WHICH EXTENDS TO TKHMELI FORTRESS AND ARRIVED IN BAGHDATI. BAGHDATI USED TO BE A SMALL TOWN UNDER THE TURKISH GOVERNANCE. A GARRISON OF 100 JANISSARIES WERE CAMPED IN ITS FORTRESS. AT THE TIME IT WAS A BUSTLING PLACE FUNCTIONING AS A MARKET AND A STORAGE FOR THE TURKS AND THE POPULATION OF IMERETI. FOLLOWING ITS CONQUEST BY RUSSIA THERE IS NO MARKET AND NO TRADERS HERE ANY MORE. ESTABLISHMENT OF QUARANTINE POINT BEYOND THE KHANISTSKALI RIVER, OPPOSITE THE FORTRESS WAS SUFFICIENT FOR THE LOCALS TO GET RID OF THE MUSLIMS AND CEASE ANY RELATIONSHIP WITH THEM. TODAY THERE ARE ABOUT 30 HOUSES IN BAGHDATI WHERE PEASANTS LIVE.'**



**ONE OF THESE HOUSES IS OCCUPIED BY A GREEK WHO IS THE COMPANION OF THE VODKA DISTILLERY WHICH SUPPLIES THE RUSSIAN ARMY DEPLOYED IN IMERETI WITH VODKA. THE GREEK HAS A VODKA DISTILLERY EQUIPPED WITH TWO DEVICES AND USES LOCAL WINES AS RAW PRODUCT. THE LOCAL WINE IS VERY STRONG, IT IS WIDELY AVAILABLE AND CHEAP. THE BAGHDATI GARRISON COMPRISES 100 men.**

**THE OFFICERS GAVE US A WARM WELCOME, INVITED US FOR BREAKFAST AND ACCOMPANIED US TO THE FORTRESS WHICH IS A PLACE SURROUNDED BY RAMPART AND DRY STONE WALLS; THE LATTER IS PLASTERED ONLY WITH MUD AND TWO FALCONETS ARE PLACED ON IT. THE FORTRESS IS BUILT ON THE BANKS OF THE KHANISTSKALI RIVER, AT THE BOTTOM OF THE MOUNTAINS WHICH SEPARATE IMERETI FROM AKHALTSIKHE PASHALIK.”**

However, in the mid-19th century, Tkhemeli Fortress loses its strategic importance, but, in turn, the number of settlements gradually increase in its environs, especially to the northwest. As for the etymology of the name 'Baghdati', present Baghdati is a later, Georgianized version of Baghdad. There are several opinions about the etymology of Baghdati, the most popular being the oral tradition according to which 'Baghdadi' stems from the word 'baghi'(garden) which means a beautiful place. In fact, in Persian 'baga' means 'god' and 'dad' – granted, i.e.'granted by god. According to the second version of the traditional etymology, the name 'baghdadi' is associated with a woman's speckled headdress. Locals tell about this version with admiration and support their opinion with really spectacular landscapes,

Khanistskali serpentines and the Persati mountains that match the colorful headdress mentioned above and easily convince you in the reality of this myth. Zurab Tolordava considers the version of linguist Guram Bedoshvili the most believable, according to which 'baghdadi' is a Turkish word stemming from BAGDADI. The word has a double meaning: one translates as a wall made of plastered lathe, while the second meaning denotes a separate wooden plank for building walls. In this case it is obvious that Baghdadi, aka Baghdati, is received from a Turkish word and it points to the wooden fence that surrounded Tkhemeli Fortress (G. Bedoidze 'Explanatory-Etymological Dictionary of Georgian Toponyms'2001). Regrettably, the territory of the fortress has not been archaeologically examined.

Historically, the earliest place in Baghdati Municipality is Village Dimi. "Dimna", "Dimi", "Dmni" – these are how the fortress whose ruins are situated at the confluence of the Sakraula and Khanistskali is referred to. Giorgi Tskitishvili was the first to trace the

fortress of Dimna (Dimi), the fortress is mentioned in sources by Mroveli and Vakhushti. 'The Life of Kings' reads: Parnavaz "sent one to rule the land from Likhi to the Egrisi Sea, above the Rioni. And the same Parnavaz had two fortresses built: Shorapani and Dimna".

'Description of the Kingdom of Georgia' says:

**“EAST OF THE KHANISTSKALI AND SOUTH OF THE KVIRILA, ON THE SLOPE OF PERSATI IS DIMI, WHERE THE FIRST KING PARNAVAZ BUILT A SOLID FORTRESS WHICH IS NOW A TOWN” (LIFE OF KARTLI 4: 752, 5-7). IT IS THIS SOURCE THAT ALLOWED GIORGI TSKITISHVILI TO SUGGEST THAT LEONTI MROVELI POINTS TO THE FORTRESS OF DIMNA. PRESUMABLY, THE FORTRESS OF DIMNA HAD A STRATEGIC FUNCTION. THIS PRESUMPTION IS SUPPORTED BY EXTREMELY CONVENIENT GEOGRAPHICAL SITUATION OF THE FORTRESS. IT CANNOT BE ACCIDENTAL THAT A HARDLY ACCESSIBLE HILL AND THE CONFLUENCE OF TWO RIVERS WERE CHOSEN FOR THE PLACE TO BUILD THE FORTRESS ON.**

**THE ROADS RUNNING OVER THE VALLEY AND OUT OF IT (INCLUDING ZEKARI PASS AND HISTORICAL ODZRKHI) WERE PERFECTLY CONTROLLED FROM THE FORTRESS. EQUALLY INTERESTING IS DIMNA'S SITUATION NEAR VARDTSIKHE-RODOPOLIS, WHICH, AS IS KNOWN, WAS ONE OF THE MOST IMPORTANT AND STRATEGIC CITIES OF EGRISI, WHERE AN INTERNATIONAL TRADE ROUTE RAN THROUGH WHICH APPARENTLY IS IDENTIFIED WITH 'SARKE MOUNT' AND MUST STEM FROM IT. IT IS A SMARTLY SELECTED NAME FOR THIS PLACE AS IT PROVIDES THE VIEW OF THE VAST COUNTRY JUST LIKE IN THE MIRROR”.**

Because of the limited circumference of the fortress (ca. 200 m), it is more considered to be an observation point or that for warning. Byzantine sources do not provide any accounts about Dimna. Interestingly, Dimna is not mentioned in the episodes of Egrisi of the Iran-Byzantine war (542-562). Zurab Tolordava, the scientific researcher of Baghdati Museum of Local Lore, suggests the following argument to explain this fact: "The fortress of Dimna had been destroyed by the Lazis by the first centuries of the New Era; according to another presumption, the fortress was destroyed by the Byzantines or Iranians at the very beginning of the Iran-Byzantine war of 542-562 having an understandable strategy for this – they did not want their rival to make use of its function (as is known from historical sources, during the Iran-Byzantine war of Egrisi in 542-562 this method –

destroying captured fortresses – was repeatedly used by both Iranians and Byzantines”) (see: historical feature “King Parnavaz’s Activities and Dimna Fortress” 2017). However, supposedly, at the beginning of the 18th century, the Ottomans restored the function of observation of the fortress, but in 1774, after Kuchuk-Kainarji peace treaty, on the order of King Solomon I of Imereti, Dimna Fortress was destroyed together with Tkhemli Fortress. A small section of the southern fence and remains of a square tower have survived on the premises of the fortress. Smallsize blocks built with mortar and horizontally arranged on the north-east wall are ascribed to the Middle Ages. As for the name Dimna (Dimi), among a few suggestions there is an interesting version of Prof. Polikarpe Jajanidze, according to which the original name of the place was ‘Jimana’. In Megrelian ‘jima’ means ‘brother’, while ‘na’ is the suffix forming a plural form: ‘Jimana (‘Jimna), or the ‘place for brothers or blood relatives to live together’. As is known, in Parnavaz’s times the county of Argveta was populated by Colchian tribes. Over time, the Megrelian-Lazian sound ‘j’ was replaced by ‘d’, which is characteristic to the word formation of Georgian language, and ‘Jimna’ became ‘Dimna’ Excavations carried out on the territory adjacent to the fortress revealed artifacts which largely belong to Hellenistic and Late Roman epochs. It supports the source of Leonti Mroveli about Dimna. Prospecting works conducted on the eastern slope of Dimi Fortress revealed fragments of pottery, pithoi and amphorae, burnt plaster, adobe, a bronze sequin. The artifacts discovered in pit burials (iron spears, arrowheads, beads, ornaments, ladles, bowls) date to approximately the first centuries. Twelve Colchian axes of the 14th -13th cc BC were found in Dimi in 1939. Part of the artifacts are kept in N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum, the rest – in Baghdati Museum of Local Lore. Ruins of the fortress are mostly covered with earth.

On the initiative of the Culture Department of Baghdati Municipal Administration, cleaning works were conducted on the territory of Dimna Fortress. Its further study requires archaeological intervention.

***THEA KASHAKASHVILI***

***PHOTOS BELONG TO THE TRAVELERS CLUB “YAGUND”***

# Հոռատ 1

ԼՆՅԵՒՅԼՅ



ԿՏԵՏ ԵՆԵՒԻԺԵՆԻՏՆ

# ჩვენი ისტორია

ჟურნალ "ბაღდათურ ვოიაჟს" ისტორია ჯერ არ აქვს, ჩვენ მისი ისტორიის პირველ ფურცლებს სწორედ ახლა, 2023 წლის პირველ დეკადასთან ერთად ვშლით და თეთრად გადაპენტილი ულამაზესი ბაღდათიდან ახალი ჟურნალის დაბადებას ვულოცავთ საქართველოს!

"ბაღდათური ვოიაჟის" ისტორიას ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერთან, კახა ენუქიძესთან ინტერვიუთი ვიწყებთ. მაგრამ მანამდე ქალაქის ქუჩებში დავდივართ, ხარბად ვისრუტავთ ფუტურისტული სულით გაჟღენთილ მათრობელა ჰაერსა და ბაღდათურ კოლორიტს.

## მაშ ასე, ვოიაჟი პირველი

ქალაქის მერიისკენ კეთილმოწყობილ ქუჩებს მივყავართ... ნაგებობები, სკვერები, მუზეუმები, ლამაზი ფარნები... ყოველივე ეს ქალაქის ის თანამედროვეობაა, რომელმაც ყველა წარსული მშვენიერება შეინახა და გამოამზეურა... მერის კაბინეტს ვუახლოვდებით და უნებლიეთ გვეფიქრება: ალბათ, რა ძნელი და საპასუხისმგებლოა, მეთაურობდე იმ მუნიციპალიტეტს, რომელიც, როგორც ამბობენ, "დმერთისგან ნაბოძების" სემანტიკას შეიცავს, საიდანაც "მელოდიის გალაკტიონმა"<sup>1</sup> გულში ხანჯლად სიყვარული გაატარა, "ოქროსხელემა დირიჟორმა"<sup>2</sup> განუმეორებელი მუსიკის ფონზე შერეკილი ოცნებები ცაში ააფრინა<sup>3</sup> და სადაც მსოფლიოში ყველაზე ომანხანი, ყველაზე თამამი ავანგარდიზმის აკვანი დაირწა.<sup>4</sup>

მერის კაბინეტში შევედით.

მერი - კახა ენუქიძე ბაღდათის მკვიდრია, მისთვის აქ ყველაფერი ნაცნობი და მშობლიურია, ალბათ, ესეც არის იმის მიზეზი, რომ ბაღდათელებს თავიანთი მერი ძალიან უყვართ, ეამაყებათ და ეიმედებათ.

მაშ ასე, ჩვენს შეყიფებებს ბაღდათური ვოიაჟის პირველი რესპოდენსი, კახა ენუქიძე ჰასუხობს:



# ინტერვიუ

## **- ბ-ნ კახა, როგორი იყო გზა საკუთარი ქალაქის სკოლის მერხიდან მერის კაბინეტამდე?**

- სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისში წავედი და დიდახანს მხოლოდ მშობლების სანახავად ჩამოვდიოდი ბაღდათში. 2017 წელს პირველად შემთავაზეს ბაღდათის სამხედრო სამსახურის ხელმძღვანელობა, შემდეგ მერის არჩევნები ჩატარდა და არჩილ გოგსაძემ გაიმარჯვა, მან თავის პირველ მოადგილედ გადამიყვანა. მე მაშინ ვხელმძღვანელობდი ინფრასტრუქტურულ, ეკონომიკურ, ფინანსურ და სხვ. მიმართულებებს.

4 წლის შემდეგ “ქართულმა ოცნებამ” არჩევნებში მერობის კანდიდატად წარმადგინა და გავიმარჯვე. 2021 წლის ოქტომბერში უკვე შევუდექი მერის პოზიციაზე მუშაობას. დიდად არ გამჭირვებია, რადგან ახალ თანამდებობაზე არ დამხვედრია უცხო გარემო, ყველაფერი ნაცნობი იყო ჩემთვის, ადრეც უშუალო მონაწილეობას ვღებულობდი წამყვანი პროექტების განხორციელებაში, ისე გამოვიდა, რომ დაწყებული საქმეები გავაგრძელე, ყველა მიმართულებით - ინფრასტრუქტურული სოციალური, კულტურული და სხვ.

## **- რომელ პრიორიტეტებს ანიჭებთ უპირატესობას?**

- ჩემთვის პრიორიტეტულია ყველაფერი, რაც ბაღდათს ეხება და მისთვის სასარგებლოა. მაინც შევჩერდები ინფრასტრუქტურაზე, რომელიც წინა სახელისუფლებო გუნდის პირობებში ძალიან მოსაწესრიგებელი იყო. ჩვენს გუნდს ის რომ დახვედროდა, რისი გაკეთებაც საჭირო გახდა ამ 4 წელიწადში, თუნდაც იმის ნახევარი, რაც უკვე გავაკეთეთ, ახლა გაცილებით მეტი ახალი პროექტის განხორციელებაზე ვიმუშავებდით და ბევრად მოწესრიგებული საგზაო სისტემა გვექნებოდა. ჩვენ ამ 5 წელიწადში გავმართეთ საავტომობილო გზების 40-45 პროცენტი, რის შედეგადაც ყველა მთავარი გზა სოფელში მოწესრიგებულია, ახლა შიდა საუბნე გზებზე ვმუშაობთ.

Anna Pkhaladze Photography



## ინტერვიუ

**- საგანმანათლებლო-სოციალური სისტემის განვითარებას რამდენად და როგორ ეწყობა ხელი?**

- ჩვენ მივყვებით იმ ძირითად ვექტორს, რომელსაც განათლების სამინისტრო გვთავაზობს. ცხადია, ხელს ვუწყობთ წარმატებულ ახალგაზრდებსა და მოზარდებს. ბაღები, სკოლამდელი დაწესებულებები ჩვენს დაქვემდებარებაშია და მათი პერსონალის ხელფასების ზრდა თუ ბავშვების საკვების გაუმჯობესება მერიის მოვალეობაა, რასაც რასაკვირველია, ვასრულებთ. სკოლებს ხშირად ვებმარებით საექსკურსიო ტრანსპორტით, ოლიმპიადის გამარჯვებულებს ფინანსურად ვუდგავართ გვერდში, წარმატებულ სტუდენტებს სწავლის გაგრძელებისთვის სარეზერვო ფონდიდან ვახმაროთ თანხებს. სოცსამსახურის კანონით გაწერილ პროგრამებს ყოველთვის ვახორციელებთ, ვერავინ იტყვის, რომ მერიისგან კუთვნილი დახმარება ვერ მიიღო, უსწრაფესად ვმუშაობთ, თუ მოხდა ისე, რომ ბენეფიციარებს ერთ დღეში ვერ ვურიცხავთ თანხას, საგარანტიოს ვატანთ, რომელიც ნებისმიერ კლინიკაში შეუძლიათ წარადგინონ და ჩვეულებრივ მომსახურებას მიიღებენ .

**- ბატონო კახა, ლიტერატურის სემანტიკურ სივრცეში ყველაზე ხმამაღალი სიტყვა ბაღდათიდან გაისმა, რას სთავაზობს ქალაქი ვლადიმერ მაიაკოვსკის ურიცხვ თაყვანისმცემელს და ზოგადად რა კეთდება სამუზეუმო მიმართულებით?**

- ჩვენთან ფუნქციონირებს მაიაკოვსკის მემორიალური მუზეუმი, სახლ-მუზეუმი, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა, აქ გამოფენილია ვლადიმერ მაიაკოვსკისა და მისი ოჯახის წევრების მემორიალური ნივთები: XIX–XX საუკუნეების საოჯახო მასალა, პირადი ნივთები, XIX ს-ისა და XX ს-ის ლიტერატურული გამოცემები, პოეტის შემოქმედების სხვადასხვა პერიოდთან



# ინტერვიუ

დაკავშირებული ფოტო და დოკუმენტური მასალა. ამ მუზეუმის განვითარებაზე მუდმივი მუშაობა მიმდინარეობს. მის ბაზაზე არსებობდა ბაღდათის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმიც, სადაც ექსპონირებული იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალები, რომელთა ქრონოლოგია მოიცავს პერიოდებს ადრეული ქვის ხანიდან - XIX ს-ის ბოლომდე. კერძოდ, ნუმისმატიკის, ბონისტიკის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიურ კოლექციებს. ეს კოლექციები მაიაკოვსკის მუზეუმის სივრცეში ჩაკარგული იყო. ამიტომ ჩვენ ვარციხეში რეაბილიტაცია ჩავუტარეთ ძალიან კარგად ნაგებ, თანამედროვე შენობას და ისტორიული მუზეუმი იქ გადავიტანეთ, სივრცე მივუჩინეთ, რის შედეგადაც ექსპონატები კარგად გამოჩნდა. ამან, ცხადია, თავისი შედეგი გამოიღო. ახლა ეს არტეფაქტები თვალსაჩინოა და მათ უკვე მოსწავლეებს აცნობენ. ანუ, მუზეუმმა საგანმანათლებლო ფუნქცია შეიძინა, მინდა აღვნიშნო, რომ ბავშვებთან კვალიფიცირებული სპეციალისტები მუშაობენ და, შესაბამისად, დაინტერესებაც დიდია.

ბაღდათში კერძო კოლექციონერიც გვყავს, რომელსაც ხელს ვუწყობთ - ბატონი შუქრი ნაკაშიძე. ის არაჩვეულებრივ ექსპონატებს ინახავს - იარაღს, მონეტებს, ჭურჭელსა და სხვ. ბაღდათში ნაპოვნი რომის იმპერიის ეპოქის ხმალიც სწორედ ბატონ შუქრისთანაა დაცული.

**- ბატონო კახა, წელიწადზე მეტია მერი ბრძანდებით, ალბათ, ბევრი ღონისძიება გაქვთ ჩატარებული და რომელი მათგანი გემაყებათ ყველაზე მეტად?**

- დაუფიქრებლად გიპასუხებთ, რომ ეს იყო ბაღდათობა 2022. ისეთი ბაღდათობა ჩავატარეთ, რომ ბაღდათელებიც და არაბაღდათელებიც თავშეყრის ყველა ადგილას ახლაც სიამაყით აღნიშნავენ. უამრავი სახიერი სიანლე შევთავაზეთ სტუმრებს, ფოიერვერკული ღონისძიება გამოვიდა, რისთვისაც მადლობას ვუხდის ჩვენი სამსახურის სპეციალისტებს, რეალურად, მათი დამსახურებაა წლევანდელი ბაღდათობის ასეთი პომპეზურობა.



Anna Pkhaladze Photography



# ინცენვანუ

**- ბატონო კახა, რას გვეტყვიტ ჰიარის შესახებ, ამ თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენება რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის?**

- ერთ-ერთი მიმართულება, რომლის გაძლირებასაც ვაპირებთ სწორედ ჰიარი განლავე, ჩვენ გვაქვს ვებგვერდი, რომელიც აშუქებს მერიის მუშაობას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, ამიტომ დავაარსეთ ეს ახალი ჟურნალი "ბადდათური ვოიაჟი". ჟურნალმა გვინდა ასახოს ჩვენი რეგიონის წარსული და აწმყო, კულტურა, მემკვიდრეობა, თანამედროვეობა, წარმოაჩინოს, როგორც მიღწევები, ისე პრობლემები. ახლა ვაპირებთ გამოვცეთ სქელტანიანი წიგნი, რომელიც ბადდათის ისტორიას მოუთხრობს მკითხველს, პუბლიკაცია შესრულებული ქნება მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

**- რას უსურვებთ ახალ ჟურნალს და მის მკითხველებს?**

- ჟურნალს ვუსურვებ მუდამ საინტერესო სიახლეების მიწოდებას საზოგადოებისთვის, საზოგადოებას კი ამ სიახლეების ობიექტურად მიმღებლობას. პირადად ჩემი სურვილია ის, რომ ჟურნალი იყოს ღია და მუდმივ კავშირში საკუთარ ელექტორატთან

ბატონ მერს წარმატება ვუსურვეთ და ბადდათის პატარა შუკებს გავუყვივით. დედამიწისკენ დაშვებული საღამოს ცა მუქი სიწითლით შეელება ჩამავალ მზეს... თითქოს უამრავი მარნის უამრავი ქვევრიდან ამოხეთქვას ცდილობდნენ სხვადასხვა ფერისა და წლოვანების ღვინოები და ჩვენც ამ სურათით შთაგონებულებმა ბადდათური მარნებისკენ გავწიეთ.

## სქოლიო

<sup>1</sup> იგულისხმება რევაზ ლალიძე, რომელიც დაბადებულია ბადდათის მუნიციპალიტეტში.

<sup>2</sup> ასე უწოდებენ ჯანსუღ კახიძეს, რომელიც ასევე ბადდათის მუნიციპალიტეტშია დაბადებული.

<sup>3</sup> ელდარ შენგელაიას კინოფილმ "შერეკილების" მუსიკის ერთ-ერთი კომპოზიტორი ჯანსუღ კახიძე განლავე.

<sup>4</sup> იგულისხმება ვლადიმერ მაიაკოვსკი.



# Interview

The journal “Baghdati Voyage” has no history yet, we are swiping the first pages of its history right now, together with the first decade of 2023, and we congratulate Georgia with the birth of this new journal from the beautiful Baghdati, magically covered with the white snow.

We’re beginning the history of “Baghdati Voyage” with an interview with Kakha Enukidze, the mayor of Baghdati municipality. But before that, we’re walking through the streets of the city, greedily inhaling the air imbued with the futuristic spirit.

So, let’s start the first voyage...

Well-maintained streets lead us to the city hall... Buildings, squares, museums, beautiful lanterns... All this details build the modernity of the city, which has kept all the beauties of the past and bought them to light.

While going to the mayor’s office we’re thinking unintentionally: imagine what a huge responsibility it is to be a leader of the municipality, which, as people say, contains the semantics “sent from god”. Baghdati is a place, where “Galaktion of melody”<sup>1</sup> pierced the heart with the love like a dagger, where the “composer with golden hands”<sup>2</sup>, sewed dreams under magical music and then sent them into the sky<sup>3</sup>... where the cradle of the boldest avant-gardism was found<sup>4</sup>.

We entered the mayor’s office.

Mayor - Kakha Enukidze is a resident of Baghdati, every detail here is familiar and native to him, perhaps this is why the people in Baghdati love their mayor very much, are proud of him and trust him.

So, the first respondent of our journal – Mr. Kakha Enukidze will answer our questions:

Anna Pkhaladze Photography



# Interview

**- Mr. Kakha, how would you describe the journey from the school desk of your own city to the mayor's office?**

- After graduating from school, I moved to Tbilisi, and I used to return to Baghdati only to see my parents. In 2017, I was offered to lead the military service of Baghdati for the first time, then the mayoral elections were held and Archil Gogsadze won, he made me his first deputy. At that time, I was in charge of infrastructural, economic, financial, etc. directions.

After 4 years, the "Georgian Dream" introduced me as a candidate for mayor in the elections and I won. In October 2021, I already started working as a mayor. I didn't have much difficulty, because I wasn't in a foreign environment, everything was familiar to me, I had already participated in the implementation of leading projects before, so it turned out that I continued the started work, in all directions - infrastructural, social, cultural, etc.

**- Which priorities do you prefer?**

- Everything that concerns Baghdati and is useful for it, is a priority for me. However, I will stop on the infrastructure, which was unarranged under the previous government team. If everything what we had to do in these 4 years, even half of what we have already done, would have been done before our team began working, we would be able to think about new projects and our road system would be much more developed. In these 5 years, we have repaired 40-45 percent of highways, all the main roads in the village are improved and now we are working on internal district roads.

**- To what extent do you contribute to the development of the educational-social system and how?**

- We follow the main vector proposed by the Ministry of Education. Obviously, we support successful young people and adults. Kindergartens, pre-schools are under our control, and it is our duty to increase the salaries of their staff or improve the children's food, and of course we always do our job. We often help schools with excursion transport, we financially support Olympiad winners, we use money from the reserve fund for successful students to continue their studies. We always



# Interview

implement the programs prescribed by the social service law, no one can say that they did not receive help from the municipality, we work as fast as possible, if it happens that we cannot transfer the money to the beneficiaries in one day, we provide a guarantee paper that they can visit any clinic and get a good service.

**- Mr. Kakha, the loudest word in the semantic space of literature was heard from Baghdati, what does the city offer to the countless admirers of Vladimir Mayakovsky and what is being done in the museum direction in general?**

- We have the Mayakovsky Memorial Museum, the house-museum where he was born and grew up, where the memorial items of Vladimir Mayakovsky and his family members are exhibited: family material of the 19th-20th centuries, personal items, publications of the 19th and 20th centuries, Photo and documentary material related to different periods of his work. This museum is developing constantly. On its base, there was also the historical-ethnographic museum of Baghdati, where the materials obtained during the archaeological excavations carried out on the territory of the municipality were exhibited, the chronology of which includes the periods from the early stone age to the end of the 19th century. In particular, numismatics, bonistics, ethnography and archaeological collections. These collections were lost in the space of the Mayakovsky Museum. Therefore, we rehabilitated a very well-constructed, modern building in Vardtsikhe and moved the historical museum there, gave it space and displayed the exhibits well, and the results were great. Now these artifacts are visible and they are already being introduced to the students. In this way, the museum acquired an educational function. I would like to point out that qualified specialists work with children and, therefore, there is big interest.

In Baghdati you can also find a private collector, Mr. Shukri Nakashidze. There are unusual exhibits in his collection - weapons, coins, dishes, etc. The Roman Empire era sword found in Baghdati is also kept by Mr. Shukri. We always support him in every possible way.

Anna Pkhaladze Photography



# Interview

**- Mr. Kakha, you have been mayor for more than a year, you have probably held many events, and which of them are you most proud of?**

- I will answer you without thinking that it was Baghdatoba 2022. We held such a brilliant Baghdatoba that both Baghdatians and non-Baghdatians talk about it with pride in all gathering places. We offered a lot of new ideas to the guests, this event was like a firework in the sky. For this achievement I would like to thank the specialists of our service (name of the service)..... (name-surnames) actually, it is their merit that this year's Bagdatobi was unforgettable.

**- Mr. Kakha, what can you tell us about PR, how important is the use of this modern discipline to you?**

- One of the directions we intend to strengthen is PR. We have a website that shows the work of the City Hall, but it is not enough, so we founded a new journal "Baghdati Voyage", which we want to reflect the past and present, culture and heritage of our region. Also, Modernity with both - achievements and problems. Now we are going to publish a thick book that will tell the history of Baghdati to the readers, - the publication will be made at a high polygraphic level.

**- What would be your wish for the new journal and its readers?**

- I wish the journal to always provide interesting news to the public, and the public to accept these news objectively. Also I wish the journal to be open and always in touch with its electorate. We wished Mr. Mayor success and walked through the small streets of Baghdati.

The evening sky towards the earth met the setting sun with dark redness.... Seemed like wines of different colors and ages were trying to be squeezed out of many pitchers of many cellars... And we, inspired by this moment, went to the Baghdati cellars.


## Scholium

<sup>1</sup> refers to Revaz Lagidze, who was born in Baghdati Municipality.

<sup>2</sup> This is the name of Jansul Kakhidze, who was born in Baghdati municipality.

<sup>3</sup> Jansul Kakhidze is one of the composers of the music of Eldar Shengelaya's movie "Sherekilebe".

<sup>4</sup> means Vladimir Mayakovsky.



NINO'S MARANI



ମୁକ୍ତାମୟା ୧

ଫାଉଣ୍ଡେସନ୍



ბაღდათის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან 5 კმ-ში მდებარეობს სოფელი წითელხევი, ყოფილი სადემეტრაო. ბაღდათური ვოიაჟის შემდეგ პუნქტად ჩვენ სწორედ ეს სოფელი ავირჩიეთ, იურუმე, წითელხევში "ნინოს მარანი" ყოფილა, როგორც ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ბატონმა გოჩა ხორავამ გვამცნო, - იქ ისეთი ღვინო და გარემოა... რომ:



## **“ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი”.**

ამიტომ, 5 კილომეტრი სწრაფად გავიარეთ და დიდ, გაშლილ ეზოში შევედით, ერთნაირად წარიტაცა თვალი ეზოს მარცხნივ აგურებით მოპირკეთებულმა და კრამიტით გადახურულმა ძველებურმა მარანმა, მარჯვნივ კი, თანამედროვე რიკულებითა და თაღებით დამშვენებულმა ქვიშისფერმა ქვიტკირის სახლმა.



ხეების დათოვლილი ტოტებიდან ყვითელ-ყვითელი მანდარინები მოვწყვიტეთ და ნინოს მყუდრო მარნის ხის თაროზე, ორშიმოს გვერდით მოვათავსეთ. “ნინოს მარანი” ნამდვილ ზღაპარს ჰგავს, მისი ბინადრების ისტორიაც ზღაპრულია, აი, ისეთი, როცა ავანსცენაზე მხოლოდ კეთილი ადამიანები ენაცვლებიან ერთმანეთს.

მარანი ძველისა და ახლის უცნაური სინთეზია, ქვევრები, ღოქები, აგურის ბუხარი და აგურის კედლები... ბუხრის თავზე გასაშრობად დაკიდებული წითელი წიწაკებისა და ყვითელი სიმინდების კვკლუცი მწკრივები, ხის თაროებზე ჩაწიკვიკებული თიხის ქოთნები და თეთრი კვანები საწნახელ-ორშიმოებთან ერთად, ისეთ საოცარ სამყაროს ქმნის, სადაც შეგიძლია შეიგრძნო და გაიმეორო ყოველივე ის, რაც წარსულში ხდებოდა და თამამად დასახო მომავლის პერსპექტივები. მათრობელა ქვევრებიდან ამოვარდნილი ოხშივარი კედელზე ამოტვიფრულ საქართველოს რუკას საკუთარ სურნელში ახვევს, გარეთ იჭრება და თავს ევლება გადათოვლილ არეს.

აქ 7 ქვევრი და ამბის დასაწყისია. 7 ქვევრამდე კი იყო და არის ერთი იმერული ოჯახი, რომლის ყოველი წევრი - დედაც, მამაც და შვილიც ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით დააჯილდოვა ღმერთმა. მერე? მერე ქვევრები ჩაიყარა, მათ ირგვლივ მარანი გაშენდა, მარანს სახლი მოჰყვა, ეზოში ხეხილმა და ყვავილებმა იხარა... ახლა კი ბომბორა ძაღლი გარბი-გამორბის და მასპინძელთან ერთად მიგვიძღვის სახლისკენ.

“ნინოს მარნის” პატრონი ახალგაზრდა, წამატებული ბიზნესმენი ბესო წიქორიძე გახლავთ. მარანი ბესოს დედის სახელობისაა და ამიტომ არც გასაკვირია, რომ მისი ყოველი კუთხე-კუნჭული ქალბატონი ნინოს სტუმართმოყვარეობითაა გაჯერებული. ოჯახი დაახლოებით 40 წელია აწარმოვებს ღვინოს, მაგრამ, როგორც ბრენდი “ნინოს მარანი” მხოლოდ 2018 წელს გაჩნდა, ხოლო ღვინის ჩამოსხმა 2019-ში დაიწყო.





ევროპის ბაზარზე გასვლას ძალიან ცუდი პერიოდი დაემთხვა, პანდემიის გამო ყველაფერი ჩაკეტილი იყო, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია წიქორიძეების ოჯახისთვის, ისინი მაინც აწვდიდნენ იმპორტიორებს ღვინოს. დღეს "ნინოს მარნის" ღვინო ევროპის 5 ქვეყანაშია გავრცელებული, თვითონ მარანი კი უხვად მასპინძლობს მუდამ მოძალებულ ტურისტებს.

ბესო წიქორიძე პროფესიით იურისტია, 20 წელი საზღვარგარეთ ცხოვრობდა მამასთან ერთად, 8 წელია, რაც მამა-შვილი სამშობლოში დაბრუნდა. ბესო თბილისში მუშაობდა, როცა ერთ-ერთმა ახლობელმა დაურეკა და უთხრა, რომ ჩამოსულ სტუმრებს კარგი ღვინო უნდოდათ და თუ მიიღებდნენ ოჯახში? წიქორიძეებმა ჩვეული სტუმართმოყვარეობით მიიღეს სტუმრები, რომლებსაც ღვინო ძალიან მოეწონათ და ნიმუშის წაღება მოისურვეს. მასპინძელს ეგონა, რომ ღვინო თბილისში მიჰქონდათ დასალევად, მაგრამ თურმე ღვინის ლაბორატორიაში წაუღიათ, შეუმოწმებით და... საუკეთესო პარამეტრების ცოლიკაურიც აღმოჩენილა.



შემდეგ 800 ლიტრი მოითხოვეს და საკუთარი ბრენდით ჩამოსახეს, მერე ბესოს შესთავაზეს თავისი ღვინის თავისივე ბრენდით ჩამოსხმა. მას ეს იდეა ძალიან მოეწონა. საქმეში ბაღდათის მერია დაეხმარა. პირველ რიგში, ბაღდათის მუნიციპალიტეტში გოჩა ხორავას დაუკავშირდნენ. ბატონი გოჩა ახალგაზრდა ბიზნესმენს მხარში ამოუდგა, მეტიც ყველაფრის სულის ჩამდგმელიც კი ყოფილა და 2018 წელს პირველი ღვინოც ჩამოისხა, რაც თბილისში ბაღდათური ღვინის გამოფენას დაემთხვა. სადეგუსტაციო დონისძიება სასტუმრო "საქართველოში" ჩატარდა, მასში მონაწილეობა იყო პირველი ნაბიჯი ახალფეხადგმული მეღვინის კარიერისა...



ღვინომ ნელ-ნელა სახელის მოხვეჭა დაიწყო, "ნინოს მარანში" მოდიოდნენ და მოდიოდნენ ტურისტები. საცავში სტუმრების მიღება ჭირდა და გაჩნდა ცალკე მარნის საჭიროება.

ოჯახმა ეტაპობრივად დაიწყო აგრო და ღვინის ტურიზმის განვითარებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შენება. ჩაყრილი ქვევრების ირგვლივ მარანი ამოიყვანეს და ინვენტარი შეიძინეს.



ბესოს პანდემიამაც კი ხელი შეუწყო, წასვლა არსად სჭირდებოდა - არც ტრენინგებზე და არც ფესტივალებზე. ეს დრო მან მარნის მშენებლობა-კეთილმოწყობისთვის გამოიყენა.



# მადვარეული ჯიშები



სულ მალე საცავი ქარხანა გაჩნდა.

ღვინის ბუნება ასეთია: ქვევრში დუღილის პროცესი მიმდინარეობს, მერე ღვინო ცისტერნებში უნდა გადავიდეს, შემდეგ საჭიროა ჩამოსხმა და წლების მიხედვით დახარისხება. ხისა და უჟანგავი ლითონის კასრები მანამდე ინახავს ღვინოს, სანამ ბოთლებში ჩამოისხმება.

წიქორიძეების საცავ ქარხანაში კიდევ იქმნება და კიდევ ისხმევა ღვინო - "ქვევრიდან ხაპში-ხაპიდან დოქში, დოქიდან ჯამში", აქ ამისთვის საჭირო ყველაფერია - უზარმაზარი კასრები, ბოთლები, ეტიკეტები და სხვ.



"ნინოს მარანში" 7000 ბოთლამდე ღვინოს ასხამენ. წიქორიძეების ძირითადი იმპორტიორი ქვეყანა გერმანიაა, საქართველოში კი მხოლოდ "8000 მოსავალში", "ღვინის ბიბლიოთეკაში", "ღვინო ანდეგრაუნდსა" და "პოლოფონიაში" შეაქვთ.

ქსელური მაღაზიების მომსახურებით არ სარგებლობენ, რადგან იქ არ არის "ცოცხალი" ღვინის შენახვის სათანადო პირობები. ბესო წიქორიძე ხომ არანაირ დანამატსა და კონსერვანტს არ იყენებს, როგორც მეღვინეები ამბობენ ის "არ კლავს" ღვინოს.

ერთმა იდეამ მეორე მოიტანა, ერთხელაც ტურისტებმა დარჩენა მოისურვეს და ამ ზღაპრულ სამყაროში 3 სრულფასოვანი, ინფრასტრუქტურულად მოწყობილი ნომერიც გაჩნდა, რომელთა ფანჯრები ლიმონის ტოტებსა და ალოეს ღეროებს გაჰყურებს... სახლი კი სავსეა ზღაპრული ნუგბარით - ხილი, ჩურჩხელა, ჩირი, ფელამუში... რა აღარ არის აქ! კიდევ ყვავილები, ყვავილები, ყვავილები სხვადასხვა ფერისა და სურნელის.

მწვადი, მჭადები და ხაჭაპურები აქ მხოლოდ კეცზე მზადდება, შამფურს არ იყენებენ, მარნის მასპინძლებს მიაჩნიათ, რომ შამფური კახური გასტროკულტურის მძლავრი ელემენტია და არ სურთ "კახეთს შამფურში გაეჯიბრონ".

"ნინოს მარნის" სტუმრების სადამოს ვახშამი ძირითადად იმერული, ქართული კერძებისგან შედგება, ვიზიტორებს სურვილისამებრ "ნინოს მასტერკლასიც" უტარდებათ. ისინი ქალბატონი ნინოს ხემძღვანელობით დიდი ხალისით აცნობენ კეცებზე მჭადებსა და ხაჭაპურებს, მწვადებსაც წვავენ, წასვლისას ბესო მათ ექსკურსიუების რეკომენდაციას უწევს, ბაღდათის საუკეთესო ლოკაციებს ასწავლის.

აქ იმდენი ხილი ხარობს, რომ ოჯახმა ჩირის აპარატი შეიძინა, რადგან თურმე ისეთი ტურისტებიც არიან, რომლებსაც დიდხანს დარჩენა არ შეუძლიათ და მხოლოდ ბოკალ ღვინოს, ჩირსა და ყველის ნაჭერს ითხოვენ...





სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ ქართველი მეწარმეებისთვის სააგენტომ "აწარმოე საქართველოში" გამოაცხადა კონკურსი. ბესომ სასწრაფოდ დაწერა პროექტი, წარმატებით გაიარა 4 ეტაპი და გაიმარჯვა. მოპოვებული თანხით ბესო წიქორიძემ უახლესი აპარატურა იყიდა ჩამოსხმის გასაუმჯობესებლად.

რადგან ამ სავანეში მთელი წელი სეზონია, გაზაფხულიდან კი ტურისტების დიდი შემოტევა იწყება, წიქორიძეები გაფართოებას აპირებენ, მათ მეორე სახლიც აქვთ, რომელიც სურთ, რომ სასტუმროდ აქციონ.



## ოცხანური საფერე - ღვინო, რომელმაც ღვინის ისტორია შეცვალა



"ნინოს მარანში" 8 სახის ღვინო იწურება, მაგრამ "ოცხანური საფერეს" ცვალებადი ბუკეტი მართლაც უნიკალურია. თუ ბოთლს გახსნილს დატოვებთ, თუნდაც ნახევარი საათით, ღვინო არომატსა და გემოს შეიცვლის, ანუ იხსნება, ჰაერზე ნიაველება და ბუკეტს იცვლის.

### ორიოდე სიტყვა "ოცხანური საფერეს" შესახებ:

როგორც ბატონი გოჩა ხორავა აღნიშნავს "ოცხანური საფერე" არის ღვინო, რომელმაც ღვინის ისტორია შეცვალა. თურმე, 2017 წელს ლონდონში, დეკანტერის ფესტივალზე პლატინის მედალი მოუპოვებია.

ზოგადად ამ პრესტიჟული ფესტივალის პლატინის მედლის გადაცემა რანჟირებულად ხდება. მონაწილეები იბრძვიან ჯერ ოქროს მედლისთვის, შემდეგ კი, ოქროს მედლის მფლობელები პლატინის მედლის მოპოვებისთვის ეპაექრებიან ერთმანეთს. მეღვინეები წლების განმავლობაში ცდილობენ ოქროსა და პლატინის მედლების მოპოვებას. "ოცხანურმა საფერემ" კი პირველივე ჯერზე პირდაპირ უმაღლესი ჯილდო დაიმსახურა.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მალე საქართველოში გვექნება "ოცხანური საფერე", რომლის ფასიც 100 ევროდან დაიწყება.

დიახ, საუკეთესო "ოცხანური საფერე" მუდამ თავს იწონებს "ნინოს მარანში", მაგრამ ამით არ მთავრდება კეთილი ზღაპარი წარმატებული ქართველი ბიზნესმენის შესახებ.



# ბაღდათური ჯიშაჲი



ბესო წიქორიძე ბაღდათის მეღვინეთა გილდიის ხელმძღვანელიც გახლავთ.

გილდია 25 წევრს აერთიანებს, პოპულარიზაციაში ეხმარება მეღვინეებს და კონკრეტულ დონისძიებებში მონაწილეობას სთავაზობს.



უკვე შებინდა, წამოსასვლელად მოვემზადეთ. მასპინძლებმა პატარ-პატარა ხურჯინებით ყვითელ-ყვითელი მანდარინები, იმერული სიუხვე და ხალისი გამოგვატანეს და რადგან ბაღდათში თურმე 60 მარანი ყოფილა, ჩვენ წავედით იქ, სადაც სალონური შეხვედრებისა და საქმიანი სესიების ჩასატარებელი შატო გველოდებოდა, ხის სასადილო, დიდი ბუხარი და, რასაკვირველია, ფორტეპიანო... ყველაფერი ფრანგულ სტილში.





## Voyage 2

# Nino's Cellar

5 km from the center of Baghdati municipality, in the village of Tsilakhevi, is "Nino's cellar", where 8 types of wine are produced. Its owner is a young, successful businessman Beso Tsikoridze. Cellar is named after Nino - Beso Tsikoridze's mother.



There are 7 pitchers in the cellar. The yard is full of fruit trees and beautiful flowers.

So far, there is one house and three perfectly furnished rooms. Hosts offer you the best Imerian cuisine.

"Nino's cellar" is a place that always attracts visitors, so the plan is to expand it in the future.

If one day you will be one of the visitors of "Nino's cellar", we assure you, you will not regret going there, you will return home with unforgettable impressions.



# კონსერვაცია 3

## მედიკალური მარცხენა





იმისთვის, რომ "შატო ფერსათი" მოგვენახულებინა მდინარე ხანისწყლის მარცხენა მხარეს გადავედით, ბაღდათიდან 4 კილომეტრი გავიარეთ და მარნის ძველებურ ჭიშკარსაც მივაღექით.


"შატო ფერსათი" ჩვეულებრივი მარანი არ გეგონოთ, აქ ყველაფერი ფრანგულ სტილშია გაკეთებული, სულიც ფრანგული იგრძნობა, სალონური. თურმე, მისი პატრონი და ამშენებელი, ფერსათის მკვიდრი-ვანტანგ ჯიხვაძე სიკვდილს ფრანგებს გადაურჩენიათ და მაღლიერება მათ მიმართ იმით გამოუხატავს, რომ სამშობლოში მარანი აუშენებია, "შატო ფერსათი" დაურქმევია და მისთვის ფრანგული სული შთაუბერავს.

ძველებური ჭიშკრით უზარმაზარ ეზოში შევედით, მთლიანად ვაზში ჩასმული დიდი ტალავრები გავიარეთ და შატოს მარნის კარი შევაღეთ. ფართოდ გაშლილ სივრცეში რამდენიმე დარბაზია, ფილიგრანულად ჩაწყობილი აგურებით ნაგები. 200 წლის საწნახელი, 200 წლის პრესი, ძველისძველი კასრები, არყის უძველესი ქვაბი... დარბაზები გაწყობილია ძველთაძველი ავეჯით... პიანინო, ბუხარი, საწოლები... ყოველი ნივთი ძველია. თიხის ოთახები ხეშია ჩასმული.

**ცოტა ძნელი მისახვედრია, სად ვართ? იმერულ სივრცეებს ვიპყრობთ თუ პროვანსულ ლაბირინთებს მივუყვებით?**

**საინტერესოა, როგორ გამენდა ეს დახვეწილი, ქართულ-ფრანგული კულტურის ულამაზესი ნაზავი?**

როგორ და, თურმე, ბაღდათში ცხოვრობდა ერთი ასეთი კაცი - ჯაბა ჯიხვაძე, რომელიც ცნობილი მეღვინე ყოფილა. სოფელ ფერსათში 120 წლის სახლი ჰქონდა, უზარმაზარი ეზოთი, დიდი ვენახითა და სხვადასხვა ჯიშის ყურძნით. ჯაბა ჯიხვაძის მარანი ღვინით მთელ სამეგრელოს ამარაგებდა... შემდეგ მამის მიერ წარმოწყობული საქმე შვილმა გააგრძელა. თითქოსდა ტიპური ისტორიაა, რომ არა ის, რომ ეს ისტორია ერთი უბრალო ბიჭის ცარიელ ჯიბეში მოჩხრიალე 10 ევროთია დაწყებული ...



აქ ყველაფერი დანგრეული და მიტოვებული ყოფილა, ხოლო ვახტანგს აგურისთვის თითი არასდროს დაეკარებინა... “ღმერთის ნებითა და შეწევნით ავაშენე, ხელოსნების ნაკეთები არ მომწონდა, ვშლიდი და თვითონ ვაკეთებდი, ოღონდ თვითონაც არ ვიცოდი, როგორ?”

მაგრამ მანამდე, ვახტანგ ჯიხვაძე ავტოკატასტროფაში მოჰყვა და მენჯის ძვალი დაიზიანა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო საფრანგეთში მოუწია წასვლა. იქ მას უმკურნალეს და ფეხზე დააყენეს. დადგა თუ არა ფეხზე, საქართველოში დაბრუნებასა და მამის საქმის გაგრძელებაზე დაიწყო ფიქრი. იმპულსურმა ქართულმა ბუნებამ ამოხეთქა და უცებ დაბრუნდა სამშობლოში, ისეთ დროს, როცა ჯიბეში მხოლოდ 10 ევრო ედო... მიტოვებული სახლი დაასუფთავა. მამიდან 50 ლარი მისცა, რომელიც მაშინ 5000-ად ეჩვენა, ძმარი ჩააბარა და იმ ფულით წავიდა თბილისში. თავდაპირველად, მტვირთავად მუშაობდა, მერე ტაქსიზე.



ნელ-ნელა გაისტუმრა მანქანის ვალი. 7 წელი იმუშავა, 7 წელი წარმოსახვაში ხატავდა იმას, რაც ფერსათში დაბრუნების მერე საკუთარი ხელით შექმნა და მანამდე კი პარიზში, იქნებ ვერსალთან, ან ტრიუმფალურ თაღთან ჩაიფიქრა. ერთი სიტყვით, 2017 წელს დაბრუნდა ფერსათში... თბილისიდან აგურები ჩამოიტანა, თვითონაც არ იცის, როგორ დაიხატა საწნახელი, ბუხარი, როგორ გააკეთა მამის ავეჯი, ჭადი...

“ყოველივე უფალმა და მამაჩემის სურვილმა შემაძლებინა. დაიჯერებთ, რომ მანამდე ქაფჩაზე თითი არ მქონდა დაკარებული? ჩემი ხელით გავაკეთე ყველაფერი. ვუყურებ აქაურობას და ჩემს თავს ვეკითხები, რა ძალის დახმარებით შევძელი ეს მე? ბედნიერი ვარ... დაახლოებით 2 წელიწად ნახევარში დავასრულე სახლის, ეზოსა და მარნის რესტავრაცია.” - გვიამბო ბატონმა ვახტანგ ჯიხვაძემ.

ღვინის მარნის სახელწოდებაზე ბევრი ადარ უფიქრია. სახელი „მატო ფერსათი“ საქართველოსა და საფრანგეთის მეგობრობას დაუკავშირა, რადგან „მატო“ ფრანგულად სასახლეს ნიშნავს. ვახტანგ ჯიხვაძის აზრით, მარანი მარტო მას არ ეკუთვნის, ის მთელი საქართველოს საკუთრებაა, ვინაიდან, მარანი და ღვინო ქვეყნის კულტურა, სიმბოლო, ქრისტიანობა და ეროვნებაა.

**“აქ დიდი ტურისტული კომპლექსი გაიმართება და ღვინის მუზეუმის ფუნქციასაც შეითავსებს, მიიღებს მაღალი რანგის სტუმრებს, ჩატარდება სესიები და კონფერენციები...”**

ასეთი ფიქრებით დავტოვეთ მატო და მისი უცნაური პატრონი, რის შემდეგაც მომდევნო ვოიაჟის კომპასის ისარი ტრადიციების ქვეყნისკენ გადავხარეთ.



# Voyage 3

## Chateau Fersati


It all started with 10 euros in a pocket of one young man... 4 kilometers from Baghdati, on the left side of the Khanisskali river, in the village of Fersati, is a cellar called Chateau "Fersati".



In the chateau, there is a 200-year-old winepress, a 200-year-old press, ancient barrels, an ancient vodka kettle... The halls are furnished with ancient furniture... a piano, a fireplace, beds... Everything is ancient. Clay rooms are embedded in wood.

Chateau Fersati belongs to Fersati resident Vakhtang Jikhvadze and was created by him. French style distinguishes it from other wineries. The cellar has great potential. It is possible to hold a tourist complex and establish a wine museum here. Its sophisticated design and space allows the reception of high-ranking guests, or holding sessions and conferences.





# პეტიტა 4

## ბაღიანბთს მთსცნრთა



\*\*\*

ქრისტეს შემდგომ პირველი საუკუნიდან, ანუ მას აქეთ, რაც იესომ 5 პურითა და 2 თევზით უამრავი ხალხი დააპურა, თევზმა საკუთარი მისტიკური ადგილი დაიკავა, როგორც რელიგიაში, ისე მეცნიერებასა და ყოფაში. თევზი ქრისტიანულ სიმბოლოდ ახალი მონოთეისტური რელიგიის გაჩენისთანავე დაფიქსირდა. მისი გამოსახულებები I-II სს-ის რომაულ სარკოფაგებსა და კატაკომბებში გვხვდება. ძველ პალესტინელებში მას სიმტკიცისა და სიცოცხლის წყლის დატვირთვა მიეცა. ბიბლიური ფილისტიმელები თაყვანს სცემდნენ ღმერთს, თევზ - დაგონს, რომლის სახელი სიტყვა „დაგ“-იდან მოდის, რაც ძველებრაულში თევზს ნიშნავდა. ქალდეველები ეთაყვანებოდნენ ღმერთ-თევზ - ოანნესს, რომელიც ადამიანის პირველ მოძღვრად ითვლებოდა და სიცოცხლის სიმბოლო გახლდათ... საქართველოში აღმოჩენილი არტეფაქტები მეტყველებს მასზე, რომ თევზი, ისევე როგორც ირემი, „ბუნების დიდი დედის“ უძველესი ზოომორფული სახეა...



ასე რომ ბადეში გაბმული თევზი არც ისე უბრალოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს... და თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მე-20 საუკუნეში ზღაპრული სამყარო ხმელეთიდან ზღვაში გადასროლილ ბადეში ოქროს თევზის გაბმის ძლიერმა სურვილმა შეიპყრო, ხოლო ახალი აღთქმის პირველი მებადურები სიმონი და მისი ძმა ანდრია იყვნენ - ბადისა და თევზისადმი ინტერესი მდინარის ატეხილ წყლებს მიღმაც გავრცელდება.

## მე-20 საუკუნე, მთავარი 4

ბაღდათში სათევზაო ბადისა და მისი ქსოვის ტრადიციების ერთმანეთთან დასაკავშირებლად ზივზივაძეების დიდ ეზოში შევედით და ოჯახის ყველაზე უხუცესი წევრი, ქალბატონი ლეილა გოგნაძე გავიცანით.



ბადის ტრადიცია უხსოვარი დროიდან მოდის, თვითონ კულტურაც უძველესია, რაც არც არის გასაკვირი, რადგან ცივილიზაციები ძირითადად მდინარეებთან ვითარდებოდა. საქართველოში სათევზაო ბადეებს ქალები ქსოვდნენ, ისინი მათ სელის ბოჭკოსგან ამზადებდნენ და სჯეროდათ, რომ ბადე ქალებსა და ბავშვებს „ავი თვალისგან“ დაიცავდა (ამის თვალსაჩინო მაგალითია თბილისში, სახელმწიფო მუზეუმში დაცული „მშობიარე ქალის ბადე“).

ზივზივადების ოჯახშიც ამ საქმით ქალები იყვნენ დაკავებული, მათი ბადეები მთელ ბაღდათში ცნობილია... თურმე, ქალები ერთად იკრიბებოდნენ და ბუხართან ბადეების ქსოვისას საუბრებით ირთობდნენ თავს, ზღაპრებსაც კი ჰყვებოდნენ.

ოჯახის უფროსმა ბადე და მისი საქსოვი ინვენტარი გამოგვიტანა და ოთახში გამალა, თეთრმა, ტყვიებით დამძიმებულმა თითქოსდა მოლივლივე ქსოვილმა უეცრად დაგვაბრუნა ბავშვობაში, როცა ღარიბმა მეზღურმა ზღვაში ბადე გადაისროლა და მერე ყველამ ერთად დავიჭირეთ ოქროს თევზი...

\*\*\*

## ბ ა ლ დ ა ზ ე ლ ა ხ ლ რ ა ვ ა გ ვ ა მ ბ ლ ხ ს :


“ბადის ქსოვის კულტურა ბაღდათის ნაწილია, რადგან საქართველოს ეს მხარე განსაკუთრებით წყალუხვია. აქ ბევრი მდინარეა - ხანისწყალი, ხონისწყალი, ყვირილა, რიონი... ჩვენი გვარიც მეთევზეების ყოფილა, ჩემი წინაპრები 150 წლის წინათ ჩამოვიდნენ აქ და მდინარე ხანისწყლის პირას იმიტომ დასახლდნენ, რომ თევზაობა უყვარდათ, ჩვენი ნათესავები კი აფხაზეთში წავიდნენ.

ჩემი დიდი ბებია, მათა აბულაძე აქ ქსოვდა ბადეებს, სოხუმში წასულმა ნათესავებმა კი, თევზაობა და ბადის ქსოვა აფხაზებსაც ასწავლეს.

ომების დროს თევზაობას შიმშილისგან არაერთხელ უხსნია მოსახლეობა. ბაღდათში ყოველთვის უხვად იყო ხანისწყლის წვერა, კალმანი... თუმცა, ბადით თევზაობას სხვა დატვირთვაც აქვს, ეს რაინდობის,



ჰუმანურობისა და ერთმანეთის დაფასების გამოხატულებაა. ბადით მეთევზეებს საკუთარი კანონები აქვთ, მაგ., მეთევზემ არ შეიძლება წინ გადაუაროს სხვა მეთევზეს, მან უნდა დაიცვას შეთანხმების ტრადიცია; როცა ერთად თევზაობს ორი ან სამი ადამიანი თითოეულს განსაზღვრული დრო აქვს, თუ როდის უნდა ისროლოს ბადე, ჯერ ერთი ისვრის, მერე მეორე და ა.შ. საქმე ის არის, რომ ერთი მეთევზე, როგორ კარგადაც არ უნდა თევზაობდეს, იმდენს ვერაფერს დაიჭრს, რამდენსაც რამდენიმე ერთად, ანუ სინერგიის კანონი მოქმედებს: ორი ერთად იმაზე ათჯერ მეტ თევზს დაიჭრს, ვიდრე ცალ-ცალკე იგივე ორი. თევზი წინ მიდის, გროვდება და მეთევზეები შეთანხმებულად ისვრიან ბადეს, ერთი ერთ ადგილას, მეორე სხვაგან... ბადე იშლება და დიდ ადგილს ფარავს. ასეთი თევზაობის დროს თევზი არ ზიანდება, შესაბამისად, თევზაობის ეს მეთოდი ჰუმანურია.



ბადე შეიძლება 10 თევზს გადააფაროს მეთევზემ, მაგრამ დაიჭიროს მხოლოდ ერთი, თევზმა იცის ქვის ქვეშ დაწოლა და, როგორც კი ბადე გადაივლის, მერე მიცურავს, შესაბამისად, ბადის ზომებიც ასეთია - ქვემოთ პატარა თვლები აქვს, ზემოთ კი დიდი, საიდანაც შეიძლება ყველანაირი თევზი გაძვრეს. ანკესი უზიანებს თევზს ლაყუჩებს, ყბას, ბადით დაჭრლი თევზი კი არ ნადგურდება. მებადურები 2-5 კილომდე თევზს იჭერენ მეტს არა, ესეც წესი და ტრადიციაა. რატომ? ალბათ, ცათა ღმერთის არშერისხების რაინდული ადათი ნადირობისა თევზაობაზეც ვრცელდება.

სასურველია, ბადით თევზაობას არამატერიალური ძეგლის სტატუსი მიენიჭოს, ხოლო ბრაკონიერობა საერთოდ აიკრძალოს. გარდა ამისა, საჭიროა მისი პოპულარიზაცია. ადრე ყველაზე პატივსაცემი ადამიანები მიჰყავდათ სათევზაოდ და აჭერინებდნენ თევზს, ხანისწყალზე. იქ ყველაზე გემრიელი თევზია და თუ ახლაც დავაბრუნებთ ამ ტრადიციას, არც ერთი სტუმარი უკმაყოფილო არ დარჩება.



კარგი იქნება ბადის ქსოვის ტრადიციის განვრცობაც და თაობიდან თაობას გადაცემა. ბაღდათში ქსოვდნენ, როგორც კალმანის, ისე სხვა თევზების ბადეებს... ყველაზე რთული მორევის თევზის დაჭერაა, ამისთვის მდინარეში ღრმად შესვლაა საჭირო და დაბუდებული თევზისთვის ბადის მიწვდენა. სამაგიეროდ, ვერცხლისფერი თევზებით სავსე ბადის დანახვა მეთევზისთვის ნამდვილი ბედნიერებაა”.



\*\*\*

ჩვენი მასპინძელი, ბაღდათში განთქმული ბადეების უხუცესი მქსოველი ქ-ნ ლეილა გოგნაძე 82 წლისაა. მას პირველი ბადე დედამთილმა მოაქსოვინა, რთული იყო და შრომატევადი, დიდი გზა გაიარა, სანამ დაოსტატდებოდა. დღეს მას ერთი ბადის მოსაქსოვად 10 დღე სჭირდება, ყველაზე დიდი ბადე 12 მხრიანი მოუქსოვია და 11 კილო ტყვია დაუხარჯავს, ყველაზე პატარა 5 კილოიანიც კი ყოფილა, ბავშვებისთვის.



ამჟამად ეს ხელობა ამ ოჯახის შემოსავლის წყაროა და ქ-ნ ლეილა ამბობს, რომ ქსოვა ნერვებსაც აწყნარებს. შივზივადეების ბადეებში უამრავი თევზი გაბმულა - გველანა, გოჭალა, კობრი, ლოქო, ტობი, ფრიტა, ქაშაპი, ღორჯო, ციმორი, წვერა, ხრამული, კალმანხი... კალმანხს თავისი ბადე აქვს - მძიმე, ზემოთ მცირეთვლიანი და მცირე ზომისა.

ახლა სწორედ კალმანხის ბადეს ქსოვდა ქალბატონი ლეილა.

ჩვენ დავემზიდობეთ ქალს, რომელიც ბადის ქსოვის უძველეს ტრადიციას აგრძელებს და მომავალ თაობასაც გადასცემს და "ბაღდათური ვოიაჟის" ბადე ძველი მეზღვაურებისა და თოკით კვანძების ხელოვნებისკენ გადავისროლეთ.



## Voyage 4

# The mystery of nets



The net weaving culture is a part of Baghdati, because this side of Georgia is rich with water. There are many rivers here - Khanistskal, Khonistskal, Kvirila, Rion... and there was always plenty of fish. Therefore, during wars, fishing has repeatedly saved the population from starvation. This is the most humane method of fishing because the fish caught in the net are never harmed.

This days fishing nets are still woven in Baghdati.

We met Mrs Leila Gognadze, the oldest net weaver in Baghdati. She is 82 years old. The mother-in-law taught her how to knit nets and after the first one, she mastered it little by little. Today, it takes her 10 days to weave one net, the largest net she has ever weaved had 12 shoulders and she spent 11 kilos of lead, even the smallest one needed 5 kilos of lead and was made for children.

For the Zivzivadze family, this trade is currently one of the sources of income.





# ՀԱՊՍԻԿ 5

## Ինքնաստ զր ինչնսծի






მდინარის მძიმე წყლებში ბადები ჩავუშვით თუ არა, სრულიად სხვა, ცოტა არ იყოს უცნაური სამყაროსკენ გადავინაცვლეთ. წვედით იქ, სადაც ბაღდათელი ბავშვები არც მეტი, არც ნაკლები ძველი ინკების საიდუმლო ნაწერების მსგავსი სირთულის ხელოვნებას ეუფლებიან.

## მამ ან. ვიზაჟი 4

და ჩვენ ბაღდათის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში შევედით იმის გასაგებად, თუ რა კავშირშია მაკრამე ანუ კვანძებით ქსოვის ხელოვნება ბაღდათის მომავლის ესთეტიკასთან. შენობის მეორე სართულზე, შიით განათებულ ოთახში ქ-ნ ნესტან მაღლაკელიძე ბავშვებთან ერთად ფერად-ფერადი ძაფებით ეკლესიებს, ყვავილებს, ნაირ-ნაირ სამაჯურებსა და სხვა ჯადოსნურ ნივთებს ქსოვს. აქ ყველაფერს - მაგიდებს, კედლებს, თაროებს მაკრამეს საუცხოო ნივთები ამშვენებს, სადღაც სამაჯურები, სადღაც იები, მწვანე ღეროებზე თეთრი ყვავილები, მაქმანებიანი საყელოები... ერთი შეხედვითაც კარგად ჩანს, რა დიდ ფანტაზიას ინახავს მაკრამეს თითოეული აქსესუარი და ის მთავარიც, რასაც ქალბატონი ნესტანი ასწავლის ბავშვებს - ცოდნისა და წარმოსახვის ერთმანეთთან შერწყმა.



ონიოდ სიტყვა მაცრამეს ისწონისაჲ  
 და გზა, ნომერლიც ამ ხელოვნებაჲმ გაიანა



მუდღებელია ზუსტად იმის თემა, საიდან წარმოიშვა ეს ხელოვნება, რადგან ათასობით და ათასობით წლის წინანდელი პრიმიტიული ხელნაკეთობები სხვადასხვა კონტინენტსა და ქვეყანაში გვხვდება. თვით სიტყვა „მაცრამეს“ ზუსტი წარმომავლობაც კი სადავოა. მეცნიერთა ნაწილი ამბობს, რომ ის თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს „შარფს, შალს, მაქმანებს“, ზოგნი იცავენ ვერსიას, რომ ფრანგული სიტყვაა და სინამდვილეში „ქსოვას“ ნიშნავს.

ფაქტი ერთია, მაცრამეს ფესვები საუკუნეების სიდრემში, იღუმალი აღმოსავლეთის სანაპიროების სივრცეებში იმალება. ის ოდითგანვე ცნობილი იყო ძველ ეგვიპტეში, ირანსა და ჩინეთში. ისიც აშკარაა, რომ ძველი ინკების საიდუმლო ნაწერების ვიზუალი აშკარა კავშირშია თანამედროვე მაცრამესთან.

ამ უჩვეულო ხელსაქმის ნიმუშები ევროპაში პირველად VII საუკუნეში გამოჩნდა. პირველი საიმედო არტეფაქტი, რომელიც ნათლად მეტყველებს უჩვეულო შემოქმედების არსებობის შესახებ, გენიალური ბოტიჩელის ტილო „მოძღვრების თაყვანისცემა“ გახლავთ, რომელზეც ერთ-ერთ პერსონაჟს მსგავსი სახით ნაქსოვი ქუდი ახურავს.

მე-20 საუკუნეში მთელ მსოფლიოში შეიქმნა თემატური დასასვენებელი კლუბები, სადაც ხელოსნები სწავლობდნენ ქსოვის ინოვაციურ მეთოდებს, საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ მსურველებს და ასწავლიდნენ მათ, როგორ მოექსოვათ სამკაულები თუ აქსესუარები. ამ პერიოდში ფართოდ გავრცელდა ხელსაქმის ნიმუშები, რომლებმაც სულ მალე მოდის წვერვალეებიც დაიპყრო. დღეს მაცრამე უჩვეულო ფორმებს იღებს, ხელოვანები პოულობენ ახალ დიზაინერულ გადაწყვეტილებებს, ქმნიან ულამაზეს და დახვეწილ შედეგებს.

ტექნოლოგიად მაკრამე კვანძოვანი ქსოვია, ის მსოფლიოს ნავიგატორების წყალობით მოედო. საქმე ის არის, რომ მეზღვაურებს უწევდათ ბადეების ქსოვა და კაბელების შერწყმა, გარდა ამისა, ისინი თოკებით ატარებდნენ ხოლმე სხვადასხვა გემის კონსტრუქციებს - და ყოველივე ამისთვის იყენებდნენ კვანძებით ქსოვის მეთოდებს, რასაც სახელად მაკრამე დაერქვა. 20-30 წლის წინ მაკრამე ძალიან პოპულარული იყო ჩვენს ქვეყანაში. ამ ტექნიკით მზადდებოდა გასაღების ჯაჭვები, ჩანთები, ტანსაცმელი, გობელენები...

დღეს მაკრამე ყველა ქვეყანაში ცნობილია და თითოეულში სპეციფიკური მანასიათებლებითაა დამკვიდრებული. მაკრამეს განსაკუთრებული სახეობები არსებობს ევროპაში, ჩინეთში, იაპონიაში, არაბულ ქვეყნებში და ინდიელთა თითქმის ყველა ტომში, ორივე ამერიკაში.



\*\*\*



ნესტან მალაქელიძე განათლებით პედაგოგს, ეს ხელოვნება სტუდენტობიდან აინტერესებდა. მან ქუთაისის ხელოვნების ინსტიტუტი დაამთავრა, შეისწავლა პედაგოგია, ფსიქოლოგია, ესთეტიკა, ეთიკა და ხელსაქმე, ანუ ყველაფერი, რაც დასჭირდებოდა ბავშვებთან მუშაობის დროს, მათი დაინტერესებისა და ფანტაზიის განვითარებისთვის.

“ერთ-ერთ მხატვარს უთქვამს, რომ მაკრამე მრავალფეროვანი არასტანდარტული გამოხატულების საშუალებაა, ყოველგვარი გადაღების გარეშე. ეს მართლაც ასეა.” - აგვისნა ქალბატონმა ნესტანმა. – “მისი სილამაზე ერთნაირად იზიდავს დიდებსა და პატარებს და რაღაც მისტიკურ ელემენტს შეიცავს, მაკრამეს საშუალებით, მეზღვაურები ამზადებდნენ თილისმებს, რომლებსაც ჩუქნიდნენ შორეულ ქვეყნებში მეგობრებს, სატროფებს, ნაცნობებს... დაფების ბოლოების შეერთების შედეგად ჩნდებოდა მაკრამეს თვალი, მისგან იქსოვებოდა ბადეებიც, როცა დაფები ერთმანეთში იხლართება, თოკი უფრო გამძლე გამოდის. საქსოვად იყენებდნენ სხვადასხვა ორფერი დაფის ნიმუშებს.”




ქალბატონი ნესტანის ინსპირაციის წყარო, მე-15 საუკუნეში ვალენტინ კავანდოლის მიერ იტალიაში გახსნილი მაკრამეს სკოლა ყოფილა. კავანდოლი 5-6 წლის ბავშვებს აზიარებდა ამ ხელოვნებას, მისი ტექნიკის სპეციფიკა ყვავილებით გადაბმამი მდგომარეობს.

მკითხველს ალბათ აინტერესებს, როგორ მეცადინეობენ ბავშვები ქ-ნ ნესტანის მაკრამეს კლასში? მხოლოდ უნარებს ითვისებენ თუ სამომავლო ხელოვნებად მოიაზრებენ? რა პერსპექტივები აქვს შემოსავლიანობის თვალსაზრისით ამ ხელოვნებას ბაღდათში?

თურმე, ისინი ჯერ თვლებს სწავლობენ, რომლებსაც თავიანთი დასახელება აქვს - პირდაპირი, გრებილი, ჭადრაკული და სხვ. შემდეგ გადადიან ფიგურებზე. დასაწყისი ძალიან მარტივია - ჯერ სამაჯურები მოქსოვენ, ფოთლები, ბრიდას ათვისება გაუჭირდათ... მაგრამ დაძლევენ. სულ მალე თოჯინების კერვას იწყებენ მაკრამეს თმებით და აი, მერე შეიძლება შემოსავალზე ფიქრი.

ქ-ნ ნესტანის სამუშაო ოთახი დავტოვებთ გულწრფელი რწმენით, რომ ის თავის აღსაზრდელებთან ერთად მართლაც დაძლევს ყველა სირთულეს და მომავლის ბაღდათის ესთეტიკაში მაკრამე საკუთარ, უცხო და განუმეორებელ ადგილს დაიმკვიდრებს.

და, ვინაიდან, არქეოლოგები ამტკიცებენ, რომ მაკრამეს ისტორია კაცობრიობის ისტორიასავით ძველია, რომ უძველესი ხანძრების მახლობლად, სადაც გამოქვაბულის მცხოვრებლები თბებოდნენ და ნანადირევ მამონტებს ჭამდნენ, ნაპოვნი ქსოვის ნაშთები, რომლებიც ძალიან ჰგავს თანამედროვე მაკრამეს, ჩვენც არქეოლოგიური სამყაროსკენ გავემართეთ.



## Voyage 5

### Baghdati and macrame



Mrs. Nestan Maghlakelidze shares the art of macrame with adults at the Youth House in Baghdati. Together with the children, she weaves churches, flowers, bracelets and other magical things with colorful threads.

Macrame is the art of weaving with knots, it spread wings all around the world thanks to the navigators. Sailors often had to weave nets, in addition, they used ropes to carry various ship constructions - and for all this they used the method of weaving with knots, which was called macrame.

Nestan... is a teacher by education. She has been interested in this art since she was a student.

In Italy the macrame school was opened by Valentin Cavandoli in the 15th century. This fact became an inspiration for Nestan and she began teaching macrame to children in Baghdati.

Today, she has many followers, and it is likely that macrame will take its own, foreign and unique place in the aesthetics of Baghdati in the future.



## სელის უდტურის გეოპოდიტიკური კონტექსტი ძვედ კოლხეთში

დავით ლომიჯაშვილი

ნოქალაქევის ექსპედიციის მონაპოვარმა, საგულისხმო მასალა მოგვცა კოლხეთში სელის წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით. ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მონაკვეთებზე (სადაც ქ.ნ. VIII-1 სს. დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლების განსაკუთრებული კონცენტრაცია შეინიშნება), უამრავ სხვადასხვა ფორმისა და მასალის კვირისტავთან ერთად, ვერტიკალური საქსოვი დაზგის თიხის პირამიდული საწაფები გამოვლინდა. კოლხეთში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული და მოცემულ სტატიაში ჩამოთვლილი ნიმუშები, დაწყებული ქ.ნ. II ათასწლეულიდან, ელინისტური ხანის ჩათვლით, მხარს უჭერს, ე.წ. ვერტიკალური საქსოვი დაზგების გავრცელება-გამოყენების თეორიას. ჩვენ ვემხრობით იმ მოსაზრებას, რომ კოლხეთში, სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილი კერამიკული პირამიდული საწაფები, ნამდვილად ვერტიკალური საქსოვი დაზგების საკიდრებია. არქეოლოგიური მონაცემები დროის თვალსაზრისით უპირატესობას ვერტიკალურ საქსოვ დაზგებს ანიჭებს. რაც შეეხება ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგას, ის ცხადია, გარკვეული დროიდან ვერტიკალურ დაზგასთან თანაარსებობს. ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი მონაპოვარი შეიძლება ჩაითვალოს კიდევ ერთ მტკიცებულებად ჰიპოთეზისა, რომ ქართული საქსოვი დაზგები, რომლებიც სიღრმისეული თვითმყოფადობით ხასიათდება, ისტორიულად ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა; მათი განვითარების პროცესები არ მიმდინარეობდა იზოლაციის პირობებში. ისინი თავიანთი საწყისი ფორმებით ძველი ხალხების კულტურულ მონაპოვართა წრეში ექცევა.



ნოქალაქევის ექსპედიციის მონაპოვარში საკმაო რაოდენობით დაგროვდა სამეურნეო ურთიერთობების რიგ დარგებთან, მათ შორის, სელის წარმოებასთან დაკავშირებული მასალები: ვერტიკალური სართავ-საქსოვი დაზვის პირამიდული სანაფები, ნართის სანმენდი ორნამენტირებული ძვლის ნივთი, დიდი რაოდენობით თიხის, ქვისა და ერთი შავლაკიანი კვირისტავი, რომლის ანალოგიც კოლხეთის სინქრონული ძეგლებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ლიტერატურიდან ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

წერილობითი წყაროებითა და არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, რომ სელის წარმოება და ექსპორტი კოლხეთისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი იყო. სამეურნეო ურთიერთობების ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებისთვის ქვეყნის გეოგარემოსა და კლიმატურ პირობებს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. კოლხეთში სელის წარმოებასა და მასთან დაკავშირებული სხვა სამეურნეო დარგების განვითარებასთან დაკავშირებით, პირველი ცნობებს ჰეროდოტე გვანვდის, ინფორმაცია ამ საკითხზე დაცულია ქსენოფონტეს “ანაბასისშიც”. ხალიბების ელინებთან ბრძოლის გადმოცემისას, ქსენოფონტე ხალიბების შეიარაღებას აღწერს ამგვარად: “მუცლამდე სელის აბჯარი ჰქონდათ, ხოლო წელს ქვემოთ სქლად დაგრეხილი თოკი”<sup>1</sup>. ქ აშკარად ჩანს სელის მეურნეობის განვითარების მაღალი დონე. აგრეთვე, სტრაბონიც კოლხეთის სიმდიდრეების ჩამოთვლისას საგანგებოდ მიუთითებს, რომ “კოლხეთში ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილსა და ფისს. ხოლო სელის დამუშავება განთქმულიც კი არის. ქვეყნის გარეთაც კი გააქვთ და ზოგიერთებს უნდათ რაღაცა ნათესაობაც გვაჩვენონ კოლხეთისა ეგვიპტელებთან ამის მიხედვით”<sup>2</sup> (ცხადია, სტრაბონი აქ ჰეროდოტეს გულისხმობს).

სელის კულტურასთან დაკავშირებული ძველი ტრადიციის მიმანიშნებელი უნდა იყოს რიგი ეთნოგრაფიული მონაცემისა, რომელთა მიხედვითაც ნალენჯიხის, სენაკისა და ხობის რაიონებში, უახლოეს წარსულში, სელის ნართისგან თევზის საჭერ ბადეებს ამზადებდნენ. ეს ფაქტი გარკვეულწილად ეხმაურება ქსენოფონტეს შენიშვნას თევზსაჭერი ბადის შესახებ (როდესაც რჩევას იძლევა, რომ სასურველია ასეთი ბადისთვის ფაზისურ-კოლხური ან კართაგენული სელის ნართის გამოყენება). შესაძლოა, სწორედ ამიტომაც (ცხადია, სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში) ისეთი ძლიერი საზღვაო სახელმწიფო, როგორც საბერძნეთი იყო, კარგად იცნობდა კოლხური სელის ღირსებას და საბერძნეთში მასზე, საუკუნეთა განმავლობაში, მოთხოვნილება არ კლებულობდა. იმავე ცნობიდან აშკარაა, რომ სელს კოლხეთისთვის არა მარტო სამოქალაქო მიზნებისთვის,

<sup>1</sup> „საქართველოს ისტორიის ძველბერძნული წყაროები“ ყაუხჩიშვილი თ. თბ.1976, გვ.53

<sup>2</sup> „სტრაბონის გეოგრაფია“ ყაუხჩიშვილი თ. თბ.1957წ. გვ.112-113



არამედ, სამხედრო დანიშნულებისთვისაც იყენებდნენ.<sup>3</sup>

ზოგადად, სელისა და კანაფის, ამ უძველესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოშენება, ადამიანისთვის მნიშვნელოვანი საყოფაცხოვრებო პროგრესი იყო. ეს ისმცენარეებია, რომლებიც ერთდროულად საკვებად და საქსოვ მასალადაც. როგორც არქეოლოგიური ისე, ეთნოგრაფიული მასალები ცხადყოფს, რომ დროთა განმავლობაში ზემოაღნიშნულ ბოჭკოვან მცენარეთა ფუნქციას დაემატა სარწმუნოებრივი სემენტიც, კერძოდ, მათგან წარმოებულმა ნართმა და ქსოვილმა სხვადასხვა ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში, საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოში, ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, თითქმის პირვანდელი აზრითა და მნიშვნელობითაა შემონახული ამ ქსოვილთა კულტის ძველთაძველი მოტივი.

როგორც ჩანს, მხოლოდ მცენარეული ნართისგან მზადდებოდა მიცვალებულის სუდარა. სასუდარე სამოსის მომზადებას განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდნენ. მიცვალებულისთვის განკუთვნილი ქსოვილი ძირითადად კანაფის, სელის ან თუთის ხის კანისგან დამზადებული ნართით იქსოვებოდა<sup>4</sup>. მცენარეული ნართისგან დამზადებული ქსოვილის უპირატესობა, მატყლისგან დამზადებულ ქსოვილთან შედარებით, აშკარადაა გამოხატული სხვადასხვა ხალხთა ყოფაში. მეტიც, მცენარეული ქსოვილი სულიერებაშიც აღწევს და რწმენა-წარმოდგენებში თავის კონკრეტულ ადგილს იკავებს. მოსეს ხუთნიგნეულის მიხედვით „და სამოსელი სელისაი განწმენდილი შეიმოსოს, და ნიფხავი სელისაი იყოს სხეულსა მისსა; და სარტყელი სელისაი შეირტყას და ვარშამაგი სელისაი დაიბუროს. რამეთუ სამოსელი წ მ ი დ ა არს და დაიბანოს წყლითა ყოველი გუამი მისი და მაშინლა შეიმოსოს იგი.“<sup>5</sup>

როგორც ჩანს, ძველებური რელიგიური კანონიკური ძეგლი „წმინდად“ მიიჩნევს სელისგან დამზადებულ სამოსს, რომლით შემოსვაც შეიძლება განბანვის შემდგომ. იგივე ფაქტი დასტურდება ძველ ეგვიპტეში, სადაც შალის სამოსით ტაძრებში შესვლა იკრძალებოდა. ეგვიპტეშიც და ებრაელებშიც ტაძარში შესვლა მხოლოდ ე.წ. „წმინდა“ სამოსით იყო დაშვებული (ანუ მცენარეული ნართისაგან დამზადებული სამოსით - დ. ლ.). საინტერესოა, რომ ანალოგიური მოვლენა თანამედროვე ქართულ სულიერ ყოფაშიც დასტურდება, კერძოდ, გურიში ადამიანის სულის საცხონებლად მონაზვნები კანაფისგან შეკერილი ტანსაცმლით იმოსებოდნენ, ხოლო მიცვალებულს კანაფის ქსოვილის

<sup>3</sup> ჩაჩაშვილი გ. ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში. სელი აკად. ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე (სსმმ) თბ. 1956, ტ. XIX, გვ. 176; საინტერესოა, რომ სვანეთში დადასტურებულია კანაფი ნართის ხარის ნეკნით წმენდის პრაქტიკა.

<sup>4</sup> რუხაძე ჯ. მცენარეულის კულტის გადმონაშთის საკითხისათვის დასავლეთ საქართველოში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის თბ. მეცნ. 1975 ტ. XVIII გვ. 169.

<sup>5</sup> მცხეთური ხელნაწერი, ლევიტელთა 164 თბი მეცნ. 1981 წ. გვ.253.

სამოსს - სუდარას აცმევდნენ.<sup>6</sup> იმავე მოვლენას მეგრელების შესახებ ადასტურებს თ. სახოკია<sup>7</sup>. იმერეთში მიცვალებულისთვის გასანთლული ტილო გამოიყენებოდა. სვანეთში მიცვალებულს თაფლის სანთელში ამოვლებულ სელის ან კანაფის სუდარაში ახვევდნენ და ჭურჭლის გარეშე მარხავდნენ<sup>8</sup>.

ეთნოგრაფიული მასალებით ირკვევა, რომ რელიგიურ რიტუალებსა და დაკრძალვის პროცესებში მცენარეული ბოჭკოსგან დამზადებული ქსოვილის გამოყენება შემთხვევითი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ამ მცენარეებში განსახიერებულა სიცოცხლის ხის სემანტიკა, მისი სიმბოლო აღნიშნულ მცენარეთა ნართი ან ქსოვილია, რომელთაც, თავის მხრივ, მზის კულტთან საკმაოდ მჭიდრო შეხების წერტილი ეძებნება<sup>9</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, კულტურული სელის სამშობლოდ მიჩნეულია ამიერკავკასიაც, საიდანაც ის უნდა მოხვედრილიყო შუამდინარეთში, იქიდან კი აღმოსავლეთსა და დასავლეთში<sup>10</sup>. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ვიქტორ ჰენის შეხედულება. მისი აზრით, ჩრდილოეთში სელის კულტურა განვითარებული იყო კოლხეთში, საიდანაც მომდინარეობს ტილო, როგორც ხალხური ტანსაცმელი<sup>11</sup>. ტილოს პერანგს ძველი ბერძნები და იტალიელები არ იცნობდნენ. იგი „ბარბაროსებიდან“ მომდინარეობს<sup>12</sup>. როგორც ჩანს, ვ. ჰენს საკმაოდ კარგად ჰქონდა გაცნობიერებული კოლხეთის კლიმატური გარემოს დადებითი გავლენა სელის მოსაყვანად, შემდეგ კი მისგან პროდუქციის მისაღებად.

წერილობითი წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ეგვიპტის მაღალხარისხოვანი ქსოვილების ერთ-ერთ ღირსეულ მეტოქედ, საერთაშორისო ბაზრებზე, კოლხეთში წარმოებული პროდუქცია ითვლებოდა<sup>13</sup>. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ძველ ბერძნებს მეურნეობის ამ დარგზე ნაკლები წარმოდგენა ჰქონდათ.

XXს-ის 50-იან წლებში „მიკენოლოგიის“ ერთ-ერთი მიღწევა გახლდათ მიკენის სასახლეების წარწერების ე.წ. ხაზოვანი დამწერლობის ნიმუშების გაშიფვრა (მ. ვენტრისს ამ საქმეში ძალიან დაეხმარა ჯ. ჩედვიკი). დღეს ამ წარწერათა შინაარსი ძირითადად ცნობილია და მათ სანდოობაში ეჭვი არავის ეპარება. აღნიშნული ფირფიტებიდან ერთ-ერთის წარწერა უაღრესად საინტერესო

<sup>6</sup> რუხაძე ჯ. დასახ. ნაშრომი გვ. 170ი

<sup>7</sup> სახოკია თ. მიცვალებულის კულტი სამეგრელოში მსე თბ. 1990, ტ. III, გვ. 168.

<sup>8</sup> ბეზარაშვილი ც. სვანი ქალის სამოსი სვანეთის ეთნოგრაფიულ შესწავლისათვის თბ. 1970, გვ. 184-185.

<sup>9</sup> „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ)“ ბარდავ-ელიძე ვ. თბ. 1941, გვ. 100-105 ჯ. რუხაძე დასახ. ნაშრ. გვ. 171, 174.

<sup>10</sup> „Культурные растения и их сородичи“. Жуковский П. М. 1964. გვ. 503.

<sup>11</sup> „Культурные растения и домашние животные“. Ген В. СПб. 1872 გვ. 80.

<sup>12</sup> იქვე

<sup>13</sup> ჩაჩაშვილი გ. დასახ. ნაშრ. გვ. 208.

ცნობებს იძლევა ანტიკური ხანის საბერძნეთში სელის კულტურის არსებობისა და მისი განვითარების თაობაზე. ეს წარწერები დღეს შესანიშნავი წყაროა სელის ბოჭკოს დამზადების ტექნოლოგიური პროცესების დადგენისთვისაც. ხაზოვანი დამწერლობის გაშიფვრამდე პილოსის ფირფიტების ერთი დიდი ჯგუფი აღნუსხავდა პროდუქციის რაღაც სახეობას, რომლის შესაბამისი მარცვლოვანი ნიშანი იყო „შ“ გაშიფვრის შემდგომ ხაზოვანი დამწერლობის გამოყენებით მას მიუსადაგეს სიტყვა „სელი“.<sup>14</sup> არ გამოვრიცხავთ, რომ შესაძლოა საქმე გვექონდეს ბერძნული წარწერების „შ“-ს და სელის კოლხურ ფორმა „სუ“-ს შორის გარკვეულ კავშირთან. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მედიტერანიულ-წინაბერძნული ენების ფონეტიკური მოვლენების სპეციფიკა, კერძოდ კი, ბგერათმონაცვლეობის კანონზომიერება. ხმოვანთმონაცვლეობის ყველაზე დამახასიათებელ თავისებურებად მრავალ არაინდოევროპულ ენაში შეიძლება მივიჩნიოთ ხმოვანთა ე.წ. თავისუფალი მონაცვლეობა: ა/ე, ა/ი, უ/ა, უ/ი და ა.შ.<sup>15</sup> ცნობილია, რომ იმავე ბგერათმონაცვლეობის პრინციპიდან გამომდინარე, ქართველური ენებიც ზემოჩამოთვლილ მედიტერანულ ენათა წრეში ექცევა. ე.წ. „მინოსური დამწერლობის“ შემქმნელი წინაბერძნული მოსახლეობის ენისთვის, როგორც პილოსის სასახლეების ნიშნებიდან ჩანს, დამახასიათებელია ღია მარცვლის კანონი, ანუ: თანხმოვანი-თანხმოვანი ან ხმოვანი-ხმოვანი. ცხადია, ეს დამწერლობა ვერ გადმოსცემდა ბერძნული ენის მარცვლებს ბოლო თანხმოვნით და თანხმოვანთა კომპლექსებს ხმოვნითურთ<sup>16</sup>. ჩანს პილოსის სასახლეების წარწერებში მოხსენებული „შ“ – ანუ თანხმოვანი-ხმოვანი ბერძნული ენობრივი კანონზომიერებით ვერ აიხსნება. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ კრეტის წარწერათა შემსანავლელების ევანსის, ვეტრისისა და ჩედვიკის აზრით, მინოსური დამწერლობის სამივე სახეობა /ხატოვანი და ხაზოვანი და – დ. ლ./ კ. კრეტის უძველესი ბინადრების შექმნილია და ამ დამწერლობის ენა არაბერძნული, უფრო მეტიც არაინდოევროპულია, ცხადია ტერმინ „შ“-ს ბერძნულად ახსნა საკმაოდ გაჭირდება. ამ ფონზე ძალზე საინტერესოა ენის ფრანგი ეტიმოლოგისტი ბუაზაკის შენიშვნა მასზე, რომ „ელინები“ სხვადასხვა მხარეში ხეტილობდნენ... ისინი ბალკანეთის ნახევარკუნძულის სამხრეთ ნაწილში ცენტრალური ევროპის ფლორისა და ფაუნისგან განსხვავებულ ფლორასა და ფაუნას წააწყდნენ და, როგორც ჩანს, აქ ნანახ ცხოველებსა და მცენარეებს, უმრავლეს შემთხვევაში, ის სახელები დაუტოვეს (ოდნავ შეცვლილი), რომლებიც წინამორბედებმა უანდერძეს<sup>17</sup>. სავარაუდოა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სელის სახელწოდება აქ მოსულმა ბერძნებმა პირდაპირ აიღეს იმ ხალხებისგან, რომლებიც ბერძენთა ეგვიდაში მოსვლამდე ცხოვრობდნენ. შესაძლოა, სელის ძველკოლხური ფორმა

<sup>14</sup> „მიკენური სამყარო“, ჩედვიკი ჯ. თარგმ. და კომ. თ. ბუაჩიძისა თბ. 1989 გვ. 96.

<sup>15</sup> „წინაბერძნული და ქართველური“ გორდუხიანი რ. თბ. 1985, გვ. 30.

<sup>16</sup> „ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში“ ურუშაძე აკ. თბ. 1964 გვ. 167.

<sup>17</sup> ურუშაძე აკ. დასახ. ნაშრომი გვ. 117.

„სუ“ იყოს არქაული სემანტიკური ძირი ამ მცენარის წინარებერძულ სახელწოდებაში. თუ დავუშვებთ პ. ჟუკოვსკის თეორიის მართებულობას იმის თაობაზე, რომ კულტურული სელი დანარჩენ ქვეყნებში და მათ შორის, ეგეოსის ზღვის აუზშიც კავკასიიდან გავრცელდა, მაშინ ბერძნული წარწერების “შ“-ს, სელის კოლხური ფორმის „სუ“-სგან წარმომავლობა საკმაოდ საფუძვლიანია. დასაშვებია, რომ მცენარის ექსპორტს ეგეოსის ზღვის აუზში თან გაჰყვა თავისი სახელი მის დასამუშავებელ დაზგასთან და სელის წარმოებაში განსწავლულ საზოგადოებასთან ერთად. ლოგიკურია, რომ ეს პროცესები საბერძნეთში პილოსის სასახლეების დანგრევამდე უნდა განხორციელებულიყო, სავარაუდოდ ძვ.წ. XIV—XIII სს-მდე /შესაძლოა, მომავალში ახალმა აღმოჩენებმა ამ თვალსაზრისში გარკვეული კორექტივი შეიტანოს/. ჩანს, რომ პილოსის ფირფიტების წარწერებიდან ცნობილ „შ“-ს, ანუ სელსაბერძნეთის საფეიქრომრეწველობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა.

სელის ბოჭკოს ძირითადად ამზადებდა სამეფო, რომელსაც ენგლიანოსის სასახლე აკონტროლებდა<sup>18</sup>. როგორც ჩანს, არც საბერძნეთისათვის უნდა ყოფილიყო ეს კულტურა უცნობი, გამომდინარე მისი საუკეთესო თვისებებიდან /სელის ქსოვილს ახასიათებს დიდი გამძლეობა, ტენის შენოვის უნარი, ძალზედ მდგრადია ლპობის მიმართ/ გარდა ამისა, საბერძნეთის კლიმატური გარემო კოლხეთის მსგავსად, მშვენიერ პირობებს ქმნიდა ამ კულტურის გასავრცელებლად. ნაღვეებით მდიდარი საბერძნეთის დასავლეთ სანაპირო, დაწყებული მიკენური ხანიდან დღემდე მისდევს სელის მოვლა-წარმოებას.

წყაროების მიხედვით ცნობილი ხდება, რომ სელის წარმოებაში საკმაოდ მაღალი იყო ცენტრალიზაციის დონე; ყოველი ადგილობრივი მმართველი მასზე მინდობილი საქმის პასუხისმგებელი უნდა ყოფილიყო. რეგიონის ყოველ სოფელს ეკისრებოდა სელის გარკვეული გადასახადი. ირკვევა, რომ შედარებით პრივილეგირებული ფენების მიმართ შეღავათებიც კი ვრცელდებოდა სელის ჩაბარების დროს. სელის მოსავლის აღების შემდეგ სოფლის მოსახლეობა ვალდებული იყო ბოჭკო დაესველებინა, რის შემდეგაც ის სამრეწველო ცენტრებში უნდა წაეღოთ. საინტერესოა წარწერების მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ თვით მესენიაშიც კი არ იყო წლის მოსავლის ერთბაშად დასასველებლად საკმარისი წყალი /ცნობილია, რომ წყალში დაღობით იშლება ის ნებოვანი ნივთიერება, რომლითაც სელის ბოჭკოები ერთმანეთთან არის დაკავშირებული/<sup>19</sup>. სელის ბოჭკოს დასამუშავებლად, როგორც ჩანს, ქალთა საკმაოდ დიდი ჯგუფები იყო დასაქმებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან კარგად ჩანს, თუ რა დონეზე იყო საბერძნეთში მეურნეობის ეს დარგი განვითარებული, მაგრამ მიუხედავად ამისა,

<sup>18</sup> ჩედვიკი ჯ. დასახ. ნაშრომი გვ. 96

<sup>19</sup> „ქ. ფაზისის ისტორიისათვის“ ბერძენიშვილი მ. თბ.1969, გვ. 26.

ადგილობრივი პროდუქცია, როგორც ჩანს, ბერძნული ბაზრის მზარდ მოთხოვნილებას სელსა და მის ნაწარმზე მთლიანად ვერ აკმაყოფილებდა.



ბაზრის ასეთ მოთხოვნილებას, ცხადია, დაემატებოდა უზარმაზარი დაკვეთები საზღვაო ფლოტისა და სამხედრო ნაწილებისთვის /ბაგირები, აფრები, აბჯრები და სხვ./<sup>20</sup> ამ დეფიციტს საბერძნეთი მეზობელი რეგიონებიდან, მათ შორის, კოლხეთიდანაც ივსებდა.

სელის წარმოება ასევე პრესტიჟული დარგი იყო ეგვიპტეშიც, სადაც ის ფარაონთა მიწა-წყალზე მოჰყავდათ რომელიმე მაღალი სოციალური წრის წარმომადგენელი პირის მეთვალყურეობის ქვეშ. სელის ბოჭკო დამზადების შემდეგ მიჰქონდათ სპეციალურ სახელოსნო ცენტრებში - ერგასტერიონებში, სადაც მისგან უკვე ქსოვილს ამზადებდნენ. ცნობილია, რომ მარტო ამონის ტაძარს 53 ასეთი სახელოსნო ჰქონდა<sup>21</sup>. როგორც სამეცნიერო ლიტერატურით ირკვევა, სელსა და მის ქსოვილებზე, შესაძლოა, სელის ზეთზეც ასეთი მოთხოვნილების გამო, მეურნეობის ეს დარგი, ეგვიპტესა და საბერძნეთის მსგავსად, კოლხეთშიც არანაკლებ ყოფილიყო განვითარებული. არის მოსაზრება, რომ კოლხეთში, როგორც სამკურნალო ისე, სურნელოვანი ზეთების შემზადება სელის ზეთის საფუძველზე ყოფილიყო აღმოცენებული<sup>22</sup>.

ასეთი სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციის წარმოება კოლხეთშიც, ცხადია, შრომის დიდ საზოგადოებრივ დანაწილებას გულისხმობდა. სავარაუდოა, რომ გარკვეულ ფენას ევალებოდა სელი-მცენარის მოყვანა და აღება-დაბინავება, საზოგადოების გარკვეული ნაწილი კი დაკავებული იქნებოდა სელის დასამუშავებელი დაზგების დამზადებით,

<sup>20</sup> „К истории древней Колхиды”, Лордкипанидзе Г.А. Тб. 1970, გვ. 90.

<sup>21</sup> „Спутник текстильщика”, Бакун Н. К. М. 1926, გვ. 46.

<sup>22</sup> „ქართველი ხალხის მატერიალური კულტურული ისტორიიდან”, მოლოდინი ლ. თბ. 1963 გვ. 63.

ცალკე საზოგადოება სელის ბოჭკოს ართავდა და ქსოვდა. სავარაუდოა, რომ ამ საქმით აქაც ძირითადად ქალები იქნებოდნენ დაკავებულნი<sup>23</sup>.

ვფიქრობთ, კოლხეთშიც ისე, როგორც საბერძნეთში, სახელმწიფო ხელისუფლება ზრუნავდა მეურნეობის ამ დარგის განვითარებაზე<sup>24</sup>. ეს დარგი საკმაოდ კარგად იყო განვითარებული ნოქალაქევეში და მის, ე.წ. „ქვეყანაშიც“, რასაც, ერთი მხრივ, არქეოლოგიური მონაცემები, მეორე მხრივ კი, დღეს ნოქალაქევეში შემორჩენილი ტოპონიმაც ადასტურებს.

ნოქალაქევის მიდამოებში დღემდე დასტურდება ადგილი „ნასუ“, რომელიც ნასელარს ნიშნავს /სუ-ძვ.კოლხ. სელი. ნა-სელ-არი/.<sup>25</sup> მეტიც, ნოქალაქევის რეგიონში დღესაც არსებობს სოფელი ნაესუ /იგივე ნალეპსაო/, სადაც ამჟამადაც მისდევენ სელის წარმოებას. თვით სოფლის სახელწოდება ნაესუ, როგორც ჩანს სუ-სგან უნდა იყოს ნაწარმოები; ნაესუ-ნასუ-ოსულე-ნასელარი<sup>26</sup>.

დღეს ადგილზე შემორჩენილი სელის კოლხური ფორმა სუ-სგან ნაწარმოები გვარები, ვფიქრობთ, საკმაოდ მყარი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ სელის მწარმოებელთა პროფესია მემკვიდრეობითი გახლდათ და რალაც პერიოდში გვარების საფუძველიც კი ყოფილა /მაგ. სულავა, სუიბერია და სხვ./ ადგილობრივი მოსახლეობა სელს იყენებდა ბადისა და ტილოს საქსოვად, როგორც ჩანს, იგრიხებოდა თოკიც.<sup>27</sup>

ჰეროდოტესთან დაცული ცნობების თანახმად, კოლხურ სელს სარდონულს უწოდებენ /„სარდონიონ“/. კოლხურისგან განსხვავებით, ეგვიპტიდან მომდინარე სელის ნაწარმს ისინი ეგვიპტურს უწოდებდნენ. ჯერ კიდევ ხაზოვანი დამწერლობის გაშიფვრამდე ბ. კუფტინი ტერმინ „სარდონულს“ საკუთრივ კოლხური ენობრივი მონაცემებით ხსნიდა. მას მეგრულ-აფხაზური საქსოვი დაზგის სახელთან აკავშირებდა და ამით თითქოს კოლხური ტილოს დამზადების თავისებურებასაც უსვამდა ხაზს<sup>28</sup>.

აღნიშნულ სამეცნიერო პრობლემასთან დაკავშირებით, ბოლო წლებში საკმაოდ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა პროფ. დევიდ ბრაუნდმა<sup>29</sup>.

ამახვილებს რა ყურადღებას ქტუსიასის თხზულების იმ ადგილზე, სადაც ნახსენებია ადგილი ინდოეთში, რომელსაც  $\Gamma\Delta*T$  ეწოდება, ავტორი ფიქრობს: როცა ძვ.წ. V საუკუნეში ბერძნები „ $\Gamma\Delta*TA4\Pi\cong H$ ”

<sup>23</sup> ჩედევიკი ჯ. დასახ. ნაშრომი გვ. 97.

<sup>24</sup> ჩაჩაშვილი გ. ქსოვილების დამზადების... გვ. 208; „ქ. ფაზისის ისტორიისათვის“ მ. ბერძნიშვილი გვ. 26-28, ხოშტარია ნ. „დიხა გუძუბა“ კოლხეთის ძველი მოსახლეობა მეცნ. აკად. მოამბე, თბ. 1944, ტ. V, №2, გვ. 209-211.

<sup>25</sup> „სენაკის რ-ნის ტოპონიმია“ ელიავა გ. თბ. 1989, გვ. 66.

<sup>26</sup> „აბაშისა და ტყეხურის ხეობების ისტორიული ღირშესანიშნაობანი“, ელიავა გ. თბ. 1971, გვ. 45.

<sup>27</sup> ელიავა გ. სენაკის... გვ. 66.

<sup>28</sup> Куфтин Б.А. Материалы... т. II, Тб.1950, გვ. 92-93.

<sup>29</sup> დევიდ ბრაუნდი „ინდოელი ვაჭრები ფაზისში“, ვაჭრობა შავ ზღვაზე არქაულსა და კლასიკურ ხანაში. აბრეშუმის გზის ისტორიული პერსპექტივა, ძიებანი, დამატება თბ. 1999წ. I, გვ. 7-8.

ახსენებენ, კოლხურ სელს კი არ აღწერენ, არამედ ინდურს.

შემდგომ ასკვნის, რომ სავსებით შესაძლებელია ჰეროდოტე მის თანამედროვე თანამემამულეებს მიუთითებდეს სელის, რომელიც ბაზარზე იყიდება, სახელწოდებით „ΓΥΔ\*ΤΛ4ΠΞΗ“ ინდოეთიდან ნარმომავლობაზე. სინამდვილეში ის თვით კოლხეთშია დამზადებული<sup>30</sup>.

ყოველივე აქ განვითარებული მსჯელობის ამოსავალია ის ფაქტორი, რომ როგორც ავტორი მიგვანიშნებს ქსენოფონტის სპარსული ექსპედიცია მაგალითია იმისა, რომ ჯერ კიდევ ძვ.წ. IV ს-ის დასაწყისში ბერძნებმა ძალიან ცოტა რამ იცოდნენ მახლობელი აღმოსავლეთის ჰინტერლანდის გეოგრაფიის შესახებ და რომ ბერძნულ გეოგრაფიაში ყოველთვის შეიმჩნევა ტენდენცია სახმელეთო მანძილების შემცირებისა<sup>31</sup>. აქედან გამომდინარე კი ადვილი დასაშვები ხდება ბერძნულ მწერლობაში ძველი საქართველო და ინდოეთი ერთმანეთთან საკმაოდ ახლომდებარე ქვეყნებად წარმოედგინათ, რაც ალბათ საფუძველი გამხდარა თვით ჰეროდოტესათვის სარწმუნოდ მიეჩნია ეგვიპტიდან კოლხეთსა და სკვითეთში სესოსტრისის ლაშქრობის რეალურობა, ისევე როგორც სკვითების თავადასავალი მახლობელი აღმოსავლეთის სიღრმეში თვით ინდოეთამდეც კი<sup>32</sup>.

თუ დ. ბრაუნდის ამ შეხედულებით კარგად აიხსნება რიგი პოლიტიკური მომენტებისა, იმავდროულად პასუხგაუცემელი რჩება ძველ ბერძნულ მწერლობაში არაორაზროვნად დასმულ საკითხი კოლხთა და ინდოელ სკვითთა ნათესაობის შესახებ<sup>333</sup>.

ვფიქრობთ ამ უკანასკნელ პრობლემასთან დაკავშირებით სრულად არგუმენტირებული პასუხია გაცემული აკ. ურუშაძის მიერ<sup>3434</sup> და ამჯერად მასზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით.

დღეს, თანამედროვე ისტორიოგრაფიაში საკმაოდ საფუძვლიანია მოსაზრება, რომ ტერმინი „სარდონული“ შესაძლოა, უკავშირდებოდეს ერთ-ერთი ეგეოსური ტომის „შარდანას“ სახელს. ეს ტომი აქტიურად ფიგურირებს ე.წ. „ზღვის ხალხთა“ სიებში და ძველევგვიპტურ წყაროებში ძვ.წ. XIV ს-დან /ე.წ. „ამარნას“ პერიოდი/ გვხვდება. მათი მეომრები ხან მოკავშირეებად იხსენიება ეგვიპტის ფარაონთა ჯარის ნაწილებს შორის /მაგ. რამზეს II-ის დროს/, ხანაც ეგვიპტელთა მონინააღმდეგეების მხარეს იბრძვიან /მაგ. ფარაონ მირნეფტაჰის დროს - ძვ.წ. XIII ს-ის II ნახ./<sup>35</sup>. საინტერესოა, რატომ

<sup>30</sup> იქვე გვ. 8.

<sup>31</sup> იქვე გვ. 7.

<sup>32</sup> იქვე

<sup>33</sup> თეოპომპე ქიოსელი F.Mist Gr. I, ფრ. 356 (340) „ძველი კოლხეთი, არგონავტების თქმულებაში“. ურუშაძე აკ. თბ. 1964 ტსუ გამომც. გვ. 295, იოანე ცეცე „განმარტებანი“ („კასანდრა“) ტ. 887, აკ. ურუშაძე დასახ. ნაშრ. გვ. 309.

<sup>34</sup> ურუშაძე აკ. დასახ. ნაშრ.

<sup>35</sup> გორდეზიანი რ. დასახ. ნაშრ. გვ. 154. „ეთნოლოგია“, ს. ჭანტურიშვილი თბ. 1993, გვ.

უნდა დაერქმიათ კოლხური სელისთვის ამ ტომთან დაკავშირებული სახელწოდება? ამ საკითხს ერთ-ერთი უკანასკნელი პ. კრეჩმერი შეეხო და ჰეროდოტესთან დამონმებული სელის სახელწოდება „შარდანებთან“ დაკავშირებულად მიიჩნია. მისიაზრით, ზღვის ხალხების დიდმოძრაობის დროს შარდანების ნაწილმა ეგვიპტიდან უკუქცევის შემდგომ კოლხეთს მიაღწია და აქ დასახლდა. ამის ნივთიერ მამტიციცებელ საბუთებად დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის აუზსა და კ. სარდინიაზე აღმოჩენილი ე.წ. რქოვანჩაფხუტიანი და ითიფალური სტატუეტების პარალელების ამიერკავკასიაში არსებობა მიიჩნია (ქუთაისის მახლობლად, ყაზბეგი და სხვ.)<sup>36</sup>, უნდა აღვნიშნოთ, რომ დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „სარდონულის“, ეგეოსურ ტომ „შარდანასთან“ დაკავშირება პრაქტიკულად გაზიარებულია<sup>37</sup>. თუმცა, ამ უკანასკნელთა დიდი ტალღის კოლხეთში შემოსვლა-ჩასახლების საკითხი ბოლომდე ახსნილი არ არის და ამდენად საკამათოა.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, სელი განსაკუთრებული თვითმყოფადობით ხასიათდება და მისი სახელი არც ერთი ერის ტერმინთან ნათესაობას არ ამჟღავნებს; მას კულტურის საწყისად საქართველოში ბრინჯაოს ხანა მიაჩნია<sup>38</sup>. შემდგომში ეს აზრი არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით გაიზიარა ჯერ ს. კუფტინმა<sup>39</sup>, შემდეგ ო. ჯაფარიძემ<sup>40</sup>, რომელმაც აღნიშნა, რომ სხვადასხვა ძეგლზე გამოვლენილი პირამიდული საწაფები საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში მოქმედებდა – დაწყებული ბრინჯაოს ხანიდან წინარეელინისტური და ელინისტური ხანის ჩათვლით.<sup>41</sup>

როგორც არქეოლოგიური მასალებით ირკვევა, სელს, როგორც საქსოვ საშუალებასა და საქსოვილე მასალას, კოლხეთის მსგავსად, საკმაოდ კარგად იცნობს აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაც. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმში დაცული ქსოვილის ნაშთი, რომელიც აღმოჩენილია მეტეხის აგურის კარიერზე 5 ყორღანში ბრინჯაოს სარკის ფრაგმენტთან ერთად. ქსოვილი ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით დათარიღდა<sup>42</sup>. იგი დამზადებულია უჩვეულოდ მაღალი ხარისხის ნართისგან, ტილოსებური გადახლართვით. ბოჭკო იმდენად კარგადაა გადარჩენილი, რომ ორგანოლექტური ანალიზითაც (წვის პროცესზე

92-93.

<sup>36</sup> გორდეზიანი რ. დასახ. ნაშრ. გვ. 156

<sup>37</sup> იქვე, გვ. 157

<sup>38</sup> „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ ჯავახიშვილი ივ. თბ. 1930, გვ. 404.

<sup>39</sup> .Куптин Б. А. დასახ. ნაშრ. გვ. 101-111.

<sup>40</sup> ჯაფარიძე ო. დაზვერვითი ექსპედიცია გურიაში სსმმ თბ. 1950, ტ. XVI, გვ. 120-122.

<sup>41</sup> იქვე, გვ. 121.

<sup>42</sup> ისაკაძე ქ. საფეიქრო ბოჭკოვან მასალათა დამუშავება ძველ საქართველოში. საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მაცნე თბ. 1969. №4, გვ. 82.



დაკვირვება, ნამწვის სუნით შეგრძნება) ნათლად დასტურდება, რომ იგი მცენარეული ნარმოშობისაა. რამდენჯერმე და ყოველმხრივ ლაბორატორიულმა შესწავლამ დაადგინა, რომ ქსოვილი დამზადებულია ორწვერად შეგრეხილი სელის ნართისაგან, რომელსაც განსაკუთრებული სინმინდე ახასიათებს<sup>43</sup>.

ზოგადად, ამა თუ იმ სახის ქსოვილის საწარმოებლად, უპირველეს ყოვლისა, საჭირო იყო ნართი. თავდაპირველად ადამიანი, როგორც ჩანს ბოჭკოთა პრიმიტიულ დართვას ყოველგვარი მექანიკური დართვის გარეშე ახორციელებდა /შესაბამისად, ნართი წუნდებული გამოდიოდა/.

რაც შეეხება საქსოვ საშუალებას, როგორც საფეიქრო ტერმინოლოგიით, ეთნოგრაფიული მასალებითა და არქეოლოგიური აღმოჩენებით მტკიცდება, საქართველოში ორი ტიპის საქსოვი დაზგა იყო გამოყენებული, ე.წ. ვერტიკალური და ჰორიზონტალური ქსოვისთვის. ალბათ, თითოეულ მათგანს განსაკუთრებული დანიშნულება ჰქონდა, როგორც დროის, ისე რეგიონული თვალსაზრისით. ჰორიზონტალური საქსოვი დაზგები უმეტესად ბარში გამოიყენებოდა, თუმცა გვხვდებოდა ვერტიკალურიც, მაშინ, როდესაც მთაში ძირითადად ვერტიკალური თანაარსებობდა ჰორიზონტალურთან<sup>44</sup>.

ბ. კუფტინის აზრით, რომელსაც თითქოს ეთნოგრაფიული მონაცემებიც უნდა ემყარებოდეს,<sup>45</sup> სამეგრელოში სელის ქსოვისთვის ე.წ. „საშუალო“ ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგას იყენებდნენ, ვფიქრობთ, ამის საფუძველი ჰეროდოტისეულ ცნობებშია საძიებელი, რომელთა მიხედვითაც ეგვიპტელები და კოლხები მონათესავე ხალხია და სელს ერთსა და იმავე წესით ამუშავებენ. ცნობილია, რომ ეგვიპტეში სელის საქსოვად ჰორიზონტალური საქსოვი დაზგები იყო გამოყენებული. ეგვიპტისგან განსხვავებით, ანტიკური ხანის საბერძნეთსა და ცენტრალურ ევროპაში გავრცელებული იყო დაჭიმული ვერტიკალური საქსოვი დაზგები. მსგავსი საქსოვი დაზგების გამოსახულებები ცნობილია ძვ.წ. VIII-ის უნგრეთის ჭურჭლებიდან და ძვ.წ. VI ს-ის ბერძნული ვაზებიდან<sup>46</sup>.

როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოდან მომდინარე ეთნოგრაფიული მასალებისა და არქეოლოგიური ძეგლების შეჯერების საფუძველზე, საქართველოში საქსოვი დაზგების გავრცელების დროსა და ფორმებთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო სურათი იკვეთება.

1966 წლის ბედენის გორაზე არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულმა ქსოვილის ტექნოლოგიურმა ანალიზმა აჩვენა, რომ ის დამზადებული ყოფილა ძვ.წ. XIX საუკუნეში, ე.წ. ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე<sup>47</sup>.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ქართული ვერტიკალური

<sup>43</sup> ისაკაძე ქ. დასახ. ნაშრ. გვ. 82.

<sup>44</sup> ისაკაძე ქ. დასახ. ნაშრ. გვ. 86.

<sup>45</sup> ჩაჩაშვილი გ. ქართული ხალხური საქსოვი დაზგები, სსმმ, თბ. 1954, ტ. XVIII.

<sup>46</sup> Куптин Б. А. დასახ. ნაშრ. გვ. 111.

<sup>47</sup> ისაკაძე ქ. დასახ. ნაშრ. გვ. 88.



საქსოვი დაზგებისგან რამდენადმე განსხვავდება ბერძნული დაზგები, რომელთაც გარკვეული უპირატესობა ახასიათებს. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ მხედველობაში მისაღებია დროის ფაქტორი და ბერძენთა პროგრესი.

კოლხეთში გავრცელებული საქსოვი დაზგების ტიპთან დაკავშირებით საინტერესო ცნობებს იძლევა არქეოლოგიური მასალები. ქ-ნ ნინო ხოშტარიას სოფ. რეკასთან გათხრილ „დიხა-გუძუბაზე“ გამოუვლენია დიდძალი ქვისა და თიხის კვირისტავები, აგრეთვე, საქსოვი დაზგის შვეულები<sup>48</sup>. ასეთი შვეულები ნაპოვნია შავი ზღვის სანაპიროზე, კერძოდ ურეკში<sup>49</sup>. ორნახნაგა

პირამიდული მოყვანილობის შვეულის ორი ეგზემპლარი აღმოჩნდა ეშერაში. ამ ეგზემპლარებს ბ. კუფტინი ბერძნული ვერტიკალური საქსოვი დაზგის სანაფების ანალოგებად მიიჩნევდა. დიდი ხნის განმავლობაში მსგავსი კერამიკული ნაკეთობები, ხან სათევზაო ბადის სიმძიმეებად<sup>50</sup>, ხან კი მშენებელ-ხუროთმოძღვრის შვეულად<sup>51</sup> განისაზღვრებოდა. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა პირამიდული სანაფები დაფიქსირებულია ვანში<sup>52</sup>, სოფ. ლიაში<sup>53</sup>, სოხუმსა<sup>54</sup> და ქობულეთ-ფიჭვნარში<sup>55</sup>. ცნობილია, რომ ვერტიკალურ საქსოვ დაზგებზე 10 ჯგუფად დაყოფილი, განსაზღვრული რაოდენობის ძაფები იყო დაჭიმული. თითოეულ ამ ჯგუფს ერთნაირი სტანდარტის სანაფებით ჭიმავდნენ<sup>56</sup>. საინტერესოა, რომ ვანის ნაქალაქარის ძვ.წ. .III-I სს-ით დათარიღებულ ერთ-ერთ ნაგებობაში, 1958 წ. გამოვლინდა 11 ცალი სანაფი, რომლებიც შესაძლოა, ერთ კომპლექტს შეადგენდა.<sup>57</sup>

ვანის ნაქალაქარიდან მომდინარე ანალოგიურ არქეოლოგიურ მასალაში, სადაც 200-მდე ეგზემპლარია თავმოყრილი, ბ-ნ გ. ლორთქიფანიძემ

<sup>48</sup> ხოშტარია ნ. დასახ. ნაშრ. გვ. 210.

<sup>49</sup> ჯაფარიძე ო. დასახ. ნაშრ. გვ. 120.

<sup>50</sup> Костюшко Б. Валюжныч А. Извлечение из отчёта о раскопках в Херсоне, Тавриг в 1899-1902 гг. ИАК М. 1901, т. I, გვ. 35.

<sup>51</sup> ჯაფარიძე ო. დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

<sup>52</sup> ლორთქიფანიძე ოთ. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თბ. 1966. ტაბ. XXXVI.

<sup>53</sup> ნაპოვნია ენგურის არქ. ექსპედიციის მიერ.

<sup>54</sup> Куфтин Б.А. Материалы к археологии Колхиды. Тб. 1949.

<sup>55</sup> კახიძე ა. მასალები აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთის ძველი ქალაქების ისტორიისთვის, მსკა თბ. 1965 წ. IV.

<sup>56</sup> Лордкипанидзе Г. А. დასახ. ნაშრომი გვ. 87-88.

<sup>57</sup> Лордкипанидзе Г. А. დასახ. ნაშრომი გვ. 88.

წონისადა ზომის მიხედვით გამოყო 7 ჯგუფი<sup>58</sup>. მსგავსი პირამიდული საწაფები დიდი რაოდენობით აღმოჩენილია საყანჩიას ნამოსახლარზეც,<sup>59</sup> მათი ნაწილი სხვადასხვა ნიშნითაა დადამლული. საყანჩიას ნიმუშებთან დაკავშირებით საინტერესო ცნობას გვანვდის ვ. ლიჩელი რომელსაც საწაფები დაჯგუფებული აქვს წონის მიხედვით. ამის საფუძველზე კი გამოიტანა დასკვნა, რომ წონაში სხვაობა სხვადასხვა სიმტკიცის ქსოვილებით შეიძლება აიხსნას. მათში ვ. ლიჩელი გამოყოფს ორი წონის საწაფებს - 98-100 გრ. და 115-117 გრ., რომლებიც გამორჩეულია რაოდენობრივი მაჩვენებლით. როგორც ჩანს, ისინი ერთი სახეობის ქსოვილთა დასამზადებლად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ეს კი ყველაზე მეტად მოხმარებადი ქსოვილი უნდა ყოფილიყო<sup>60</sup>. პირამიდული საწაფების აღმოჩენის ფაქტები დადასტურებულია აღმოსავლეთ საქართველოშიც.<sup>61</sup>

მსგავს ნაკეთობათა აღმოჩენების ტოპოგრაფიას კიდევ უფრო ავსებს და ხვეწს ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ მოპოვებული თიხის პირამიდული საწაფები /166, 1182 და სხვ./. ყველა მათგანი ვერტიკალური საქსოვი დაზგის პირამიდული საწაფია. ისინი უამრავ სხვადასხვა ფორმისა და მასალის კვირისტავთან ერთად ნაქალაქარის ქვედა ტერასის ცენტრალურ და აღმოსავლეთ მონაკვეთებზეა გამოვლენილი, სადაც ძვ.წ. VIII-I სს. დათარიღებული არქეოლოგიური ძეგლების განსაკუთრებული კონცენტრაცია შეინიშნება.

კოლხეთში არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული და ჩვენ მიერ აქ ჩამოთვლილი ნიმუშები დაწყებული ძვ. წ. II ათასწლეულიდან, ელინისტური ხანის ჩათვლით, სავარაუდოდ, მხარს უჭერს აქ ე.წ. ვერტიკალური საქსოვი დაზგების გავრცელება-გამოყენების თეორიას. აღსანიშნავია, რომ ელინისტურ ხანაში ვერტიკალური საქსოვი დაზგების პირამიდულ საწაფებს ადგილობრივად ამზადებდნენ. ამ მხრივ საინტერესოა ვანში გამოვლენილი ნუნდებული პროდუქცია.<sup>62</sup> თუ კოლხეთში, სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე აღმოჩენილი კერამიკული პირამიდული საწაფები ნამდვილად ვერტიკალური საქსოვი დაზგების საკიდრებია /პირადად ჩვენ ამ შეხედულებას ვემხრობით/, მაშინ არქეოლოგიური მონაცემები დროის თვალსაზრისით უპირატესობას ამ უკანასკნელს ანიჭებს. რაც შეეხება ჰორიზონტალურ საქსოვ დაზგას, ის ცხადია, გარკვეული დროიდან ვერტიკალურ დაზგასთან თანაარსებობს. ნოქალაქევის ნაქალაქარზე გამოვლენილი მონაპოვარი კი შეიძლება კიდევ ერთ მონაპოვად ჩაითვალოს საამისოდ, რომ ქართული საქსოვი დაზგები ისტორიულად ვითარდებოდა და უმჯობესდებოდა თვითმყოფადობის შენარჩუნების ფონზე; ეს პროცესები იზოლაციის პირობებში კი არ მიმდინარეობდა, არამედ თავიანთი სანყისი ფორმებით ძველი ხალხების კულტურულ მონაპოვართა წრეში ექცევა.

<sup>58</sup> იქვე, გვ. 86.

<sup>59</sup> „ძველი ვანი, სამეურნეო უბანი“ ლიჩელი ვ. თბ. 1991, გვ. 65.

<sup>60</sup> იქვე

<sup>61</sup> თოლორდავა ვ. მასალები იბერიის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. III-I სს. მსკა თბ. 1963, ტ. III, გვ. 153.

<sup>62</sup> Лордкипанидзе Г. А. დასახ. ნაშრომი. გვ. 87, №3-58/347.

# Geopolitical Context of the Culture of Flax in Ancient Colchis

David Lomitashvili

Finds of Nokalakevi expedition provided significant material with regard to flax production. Alongside numerous spindle whorls of various shapes and material, central and eastern sections of the lower terrace of Nokalakevi city-site (where particular concentration of archaeological sites dated by the eighth – first centuries BC can be observed) yielded pyramidal loom-weights of a vertical loom. The samples obtained through archaeological excavations in Colchis and cited in the present article date from the II millennium BC to the Hellenistic epoch inclusive, and support the theory of distribution and application of the so-called vertical looms. We share the opinion that the pyramidal ceramic weights discovered in Colchis are definitely weights of the vertical loom. In terms of time, archaeological data give priority to vertical looms. As far as horizontal looms are concerned, they indeed coexisted with the vertical one from a certain period of time. The finds revealed at Nokalakevi city-site can be considered another proof to the hypothesis that Georgian looms that are characterized by profound individuality, evolved and improved over time. However, the process of their development did not occur in an isolated way. With their original forms they make part of cultural achievements of ancient peoples.

Flax, yarn, weight, loom, chronology, toponymy

Substantial amount of material associated with different fields of economic relations, in this case – flax production, has accumulated among the finds of the Nokalakevi expedition: pyramidal loom-weights of a vertical loom, an ornamented bone object for cleaning yarn, numerous clay, stone spindle-whorls and a sample of a black-varnished one whose analog has been unknown to us from the scholarly literature dedicated to the sites contemporary with Colchis.

As it becomes clear from written sources and archaeological material, flax production and export had strategic importance for Colchis. Geographical environment and climatic conditions were essential for its development. The earliest account about production of flax and development of other fields of economy connected to it is provided by Herod; information about this subject recorded in Xenophon's *Anabasis* as well. In his narrative of the Chalybes' fight against the Hellenes, Xenophon describes the armament of the Chalybs as follows: "They had flax armor above the waist and a thick twisted rope below it".<sup>1</sup> It vividly demonstrates high standard of development of flax industry. While listing the riches of Colchis, Strabo specially emphasizes that "they process plenty of flax, hemp, wax and resin. But it is even renowned for flax processing. Flax is even exported and some want to show a certain kind of kinship between Colchis and the Egyptians on this basis"<sup>2</sup> (it is clear that the author implies Herodotus in this case).

A number of ethnographical data, according to which they produced fishing nets from flax yarn in the districts of Tsalenjikha, Senaki and Khobi yet in recent past,

<sup>1</sup> T. Kaukhchishvili, *Ancient Greek Sources of Georgian History*. Tbilisi, 1976, p. 53.

<sup>2</sup> T. Kaukhchishvili, *Strabo's Geography*. Tbilisi, 1957, pp. 112-113

must be the indication of the old tradition connected to flax culture. This fact somehow responds to Xenophon's remark about the fishing net (when he gives advice to use Phasis-Colchian or Carthaginian flax yarn to make such a net). Probably, this was the reason why (of course, in combination with other factors) a powerful maritime state such as Greece was well aware of the value of Colchian flax and demand for it never fell in Greece over centuries. It becomes clear from the account that flax had a civil as well as military function in Colchis.<sup>3</sup>

In general, farming of flax and hemp – two ancient agricultural species - represented an important economic progress for humans. These are the plants that gave both food and raw material for weaving. Archaeological and ethnographical materials show that over time the two fibrous plants acquired an additional – religious function, specifically, the yarn and fabric made of these plants occupied quite an important place in beliefs of various peoples. Interestingly, according to ethnographic material, the ancient motif of the cult of these fabrics has been preserved with its original sense and significance. Apparently, the shroud of the deceased was made only from the plant yarn. It was usually produced with particular care. The cloth designed for the deceased was woven only with yarn made from hemp, flax or the skin of mulberry tree.<sup>4</sup> The advantage of the cloth made from plant yarn against that made of wool is vividly demonstrated in everyday life of various peoples. Moreover, plant cloth invades spiritual life as well and occupies its specific place in beliefs. According to Moses' Pentateuch, "... and the purified shall be clothed in flax garment and underpants; and girded with a flax belt and the head covered with a flax mitre, since the clothing is sacred and their body shall be washed and clad only after this."<sup>5</sup> Apparently, the ancient canonic religious text regards the garment made of flax as 'sacred' which can be worn even after being purified. A similar fact is documented in Egypt, too, where it was banned to enter a temple in wool clothes. Both in Egypt and among the Jews only those dressed in so called 'sacred' garment (i. e. garment made from plant yarn – D. L.) could enter a temple. Interestingly, an analogous fact is recorded in Georgian contemporary religious life. Specifically, in Guria, in order to give a blessing to the soul, nuns would get dressed in clothes made of hemp, while the deceased would be clad in a flax shroud.<sup>6</sup> The same practice is confirmed among the Megrelians by T. Sakhokia.<sup>7</sup> They used waxed linen for the deceased in Imereti, whereas in Svaneti the deceased used to be wrapped in flax or hemp shroud dipped in beeswax and buried without a coffin.<sup>8</sup>

As ethnographic materials show, the use of fabrics made from plant fiber in religious rituals and burial rites was not just coincidental. Apparently, the idea of the Tree of Life is identified with these plants and their yarn or fabric is a symbolic represen-

<sup>3</sup> G. Chachashvili, From the History of Textile Production in Georgia. Flax. Moambe, Janashia Georgian State Museum, 1956, vol. XIX, p. 176; interestingly, use of an ox rib for cleaning hemp yarn has been documented in Svaneti.

<sup>4</sup> J. Rukhadze, On the Problem of Relict of Vegetal Cult in Western Georgia. Materials for Georgian Ethnography. Tbilisi, 1975, v. XVIII, p. 169.

<sup>5</sup> Manuscript from Mtskheta, Leviticus 164, Tbilisi, Metsn, 1981, p. 253.


<sup>6</sup> J. Rukhadze, cited work. p. 170.

<sup>7</sup> T. Sakhokia. Cult of the Deceased in Megrelia, MSE, Tbilisi, 1990, v. III, p. 168.

<sup>8</sup> T. Bezarashvili, Svanian Woman's Garment for Ethnographical Study of Svaneti, Tbilisi, 1970, pp. 184-185.

tation of the former which, in its turn, can be very closely associated with the cult of the sun.<sup>9</sup>

According to the opinion expressed in scholarly literature, Transcaucasia is also considered home to cultivated flax from where it must have ended up in Mesopotamia and further to the East and West.<sup>10</sup> In this respect, rather interesting is the opinion expressed by Victor Henn. He argues that at the north flax culture was developed in Colchis, which is where linen as folk clothing comes from.<sup>11</sup> Ancient Greeks and Italians were unaware of linen robes. They came from ‘barbarians’.<sup>12</sup> Obviously, Victor Henn was rather knowledgeable about the climatic condition in Colchis which created favorable basis for, firstly, growing flax and, secondly, for developing products out of it.



According to written sources, on international markets products made in Colchis were considered one of the worthy rivals to high quality Egyptian fabrics.<sup>13</sup> However, it does not mean that ancient Greeks knew little in this field. In the 1950s, one of the achievements of ‘Mycenology’ was deciphering of the samples of so called linear script used in the inscriptions of Mycenaean palaces by M. Ventris, who was greatly assisted by J. Chadwick. The content of these inscriptions is largely known and raises no doubt. One of the tablets with an inscription provides immensely interesting information about presence of flax culture in Greece and the standard of its development. The inscriptions in question are a perfect source for estimating technological processes of flax fiber as well. Prior to deciphering the linear writing, one group of Pylos tablets provided description of some kind of production which corresponded to a syllable ‘SA’. After deciphering through linear writing, it was related to the word ‘flax’.<sup>14</sup> It cannot be excluded that there is some kind of connection between ‘SA’ of the Greek inscriptions and ‘su’ - Colchian version of flax. In this respect, particularly interesting is the peculiarity of phonetic phenomena of Mediterranean - Proto-Greek

<sup>9</sup> V. Bardavelidze, *From the History of Georgians' Ancient Beliefs (God Barbar-Babar)*, Tbilisi, 1941, pp. 100-105; J. Rukhadze, cited work, pp. 171, 174.

<sup>10</sup> „Культурные растения и их сородичи”. Жуковский П.М М.1964, p. 503.

<sup>11</sup> „Культурные растения и домашние животные”. Ген В. СПб.1872, p. 80

<sup>12</sup> *ibid.*

<sup>13</sup> G. Chachashvili, cited work, p. 208.

<sup>14</sup> *The Mycenaean World*, J. Chadwick. Translation and comments by T. Buachidze. Tbilisi, 1989. p. 96

languages, specifically, regularity of sound alternation. So called free alternation of vowels: a/e, a/i, u/a, u/i, etc. can be regarded as the most common feature of vowel alternation in many non-Indo-European languages.<sup>15</sup> It is known that, due to the same principle of sound alternation, Kartvelian languages also fall within the circle of the above mentioned Mediterranean languages. As it appears from the signs of the palaces of Pylos, the rule of an open syllable, i. e. consonant-consonant or vowel-vowel, is diagnostic to the language of the Proto-Greek population that created so called 'Minoan writing'. Obviously, this system of writing was unable to convey syllables of Greek language with the final consonant and complexes of consonants with a vowel.<sup>16</sup> Apparently, the 'SA', i.e. consonant-vowel, mentioned in the inscriptions of the palaces of Pylos, cannot be explained by Greek linguistic regularity. If we also consider the fact that, according to the researchers of Cretan inscriptions- Evans, Vetrus and Chadwick, all three versions of Minoan writing (pictographic and linear and ?- D. L.) were created by ancient indigenous Cretans and the language of this writing is non-Greek, moreover, non-Indo-European, naturally, the interpretation of the term 'SA' in Greek will prove too complicated. Given all this, it is interesting to recall a remark of a language etymologist Boisacq – 'Hellenes' roamed at various places... In the southern part of the Balkan Peninsula they came across the flora and fauna which was different from those of central Europe and, apparently, in most cases they retained the names (maybe with slight alteration) of animals and plants they encountered given to them by their predecessors.<sup>17</sup> Presumably, in this particular case, the name of flax was adopted by newly arrived Greeks directly from the peoples that lived in the Aegean prior to their arrival. The ancient Colchian form of flax – 'su' – could be an archaic semantic base in the Proto-Greek name of this plant. If we accept P. Zhukovski's theory, according to which cultivated flax had been spread from Caucasia to other countries including the Aegean Sea basin, then there appears rather solid basis for 'SA' from Greek inscriptions to have derived from the Colchian version of 'su'. Admittedly, the plant was exported to the Aegean Sea basin together with its name and the machine for processing and, possibly, with the community knowledgeable about flax production. It is logical that these processes must have taken place prior to the destruction of the palaces of Pylos, presumably, before the 14<sup>th</sup> -13<sup>th</sup> cc BC (further discoveries might lead to certain specifications). It appears that the 'SA', i. e. flax, known from the inscriptions of Pylos tablets occupied a leading place in the textile industry of Greece. Flax fiber was mainly produced by the kingdom which was controlled by the Palace of Englianos.<sup>18</sup> However, Greece must have also been aware of this plant due to its best qualities /flax fabric is characterized by high durability, ability to absorb moisture, high resistance against decomposition/. Furthermore, Greek climate proved favorable to distributing this plant. Western coast of Greece known for abundant rainfalls has been growing and producing flax since the Mycenaean times. Sources report that flax production was highly centralized; every local governor was responsible for the business allocated to them. Every village of the region was to pay flax tax. It becomes clear that a relatively advantaged social class was entitled to certain relief while delivering flax.

<sup>15</sup> R. Gordeziani, Proto-Greek and Kartvelian, Tbilisi, 1985, p. 30

<sup>16</sup> A. Urushadze, Ancient Colchis in the Myth of Argonauts, Tbilisi, 1964, p. 167

<sup>17</sup> A. Urushadze, named work, p. 117.

<sup>18</sup> J. Chadwick, named work, p. 96.

After harvesting flax, the village population was obliged to get the fiber soaked, after which it was carried to manufacturing centers. The inscriptions report that there was not sufficient water even in Messenia for the whole harvest to soak (as it is known, the glutinous substance that makes flax fibers stick together decomposes through soaking in water).<sup>19</sup> As it appears, there were large groups of female workers employed in processing flax fiber. All the above mentioned is a vivid demonstration of how well this branch was developed in Greece. However, local production was unable to fully satisfy the increasing demand for flax and its products on the Greek market. Such a demand of the market was even increased by huge orders placed by the navy and military units (ropes, masts, armors, etc.).<sup>20</sup> Greece would complement this deficiency from neighboring regions, including Colchis.

Flax production was a prestigious branch of industry in Egypt too, where the plant was grown on the lands of pharaohs under the supervision of a representative of a high social class. Having been prepared, flax fiber was carried to special workshops – *ergasteria*, where textiles were produced. It is known that the Temple of Amon alone possessed 53 workshops of this kind.<sup>21</sup> As it becomes clear from scholarly literature, due to such high demand for flax and its fabric, probably for flax oil as well, this branch of industry could have been equally well developed in Colchis. It has been suggested that blending of both medicinal and fragrant oils could have emerged on the basis of flax oil.<sup>22</sup> Production of the commodity of such a strategic importance in Colchis must have implied social division of labor as well. Presumably, a certain social class was put in charge of growing, harvesting and storing flax plant; another part of the community must have been employed in creating machine-tools for processing flax and some were involved in spinning and weaving flax fiber. Supposedly, it was women that were mainly employed in the latter activity.<sup>23</sup>

We consider that, given the example of Greece, in Colchis, too, the development of this branch of industry was the concern of the state authority<sup>24</sup> and that it was rather well developed in Nokalakevi and in its so called ‘country’. This is evidenced by, on the one hand, archaeological data, and, on the other, the toponymy preserved at Nokalakevi up to present. There is still a place called ‘nasu’ in the environs of Nokalakevi, which indicates ‘former place of flax’ (‘su’ – means ‘flax’ in ancient Colchian).<sup>25</sup> Moreover, there exists a village of Naesu (or *Nalepsao*) in the district of Nokalakevi, where flax is still produced. The name of the village itself – *Naesu* – must have derived from *su*: *naesu-nasu-osule-naselari*.<sup>26</sup> Family names derived from *su* – the Colchian form of the word *flax* – that have survived in the area up to the present must be quite a strong argument to suggest that the profession of flax producers was hereditary and, at some point, it became the basis for family names too (e.g. Sulava,

<sup>19</sup> M. Berdzenishvili, *For the History of Town Phasis*, Tbilisi, 1969, p. 26.

<sup>20</sup> „К истории древней Колхиди”, Лордкипанидзе Г. А. Тб.1970, p. 90.

<sup>21</sup> „Спутник текстильщика”, Бакун Н.К. М.1926, p. 46.

<sup>22</sup> L. Molodini, *From the History of Material Culture of the Georgian Nation*. Tbilisi, 1963, p. 63

<sup>23</sup> J. Chadwick, *named work*, p. 97

<sup>24</sup> G. Chachashvili, *Textile Production.....*, p. 208; M. Berdzenishvili, *For the History of the Town of Phasis*, pp. 26-28; N. Khoshtaria, ‘Dikha Gudzuba’ *Ancient Population of Colchis*, *Messenger of the Academy of Sciences*, Tbilisi, 1944, v. V, N2, pp. 209-211.

<sup>25</sup> G. Eliava, *Toponymy of Senaki District*, Tbilisi, 1989, p. 66.

<sup>26</sup> G. Eliava, *Historical Landmarks of the Abasha and Tekhuri Gorges*, Tbilisi, 1971, p. 45.



Suiberia, etc.).

Local community used flax for weaving nets and linen, and rope seems to have been braided as well.<sup>27</sup>

According to the information provided by Herodotus, Colchian flax was referred to as Sardonian ('Sardonion'). Unlike Colchian flax products, the Egyptian ones were called Egyptian. Yet before deciphering linear writing, B. Kuftin had explained the term 'Sardonian' by specifically Colchian linguistic features. He associated it with the name of a Megrelian-Abkhazian loom by which he, as though, emphasized the peculiarities of producing Colchian linen as well.<sup>28</sup> In this respect, a rather interesting suggestion was made by Prof. D. Braund in recent years.<sup>29</sup> Focusing attention on the section of Ctesias' work where he mentions a place in India called Γ´Δ\*Τ the author argues: in the fifth century BC the Greeks mention „Γ´Δ\*ΤΛ4Π≅Η”; could they be describing Colchian flax as Indian in some sense? Further on he concludes that there is a high probability that Herodotus points out to his contemporary countrymen that the flax which is for sale on the market under the name „Γ´Δ\*ΤΛ4Π≅Η” as if comes from India, although, in fact, it is made in Colchis.<sup>30</sup> Considering this discussion, as the author points out, Xenophon's Persian Expedition is an example of the fact that, as early as at the beginning of the fourth century BC, the Greeks knew little about the geography of the hinterland of the Near East and that Greek geography usually tends to shorten land distances.<sup>31</sup> Consequently, it is possible that in Greek literature ancient Georgia and India were imagined to be the countries situated close to each other, which could have become basis even for Herodotus to consider Sesostris' military expedition from Egypt to Colchis and Scythia convincing, as well as the Scythians' adventure further into the Near East, reaching even India.<sup>32</sup> If this supposition of D. Braund clearly explains a number of political points, it still leaves the problem of kinship of the Colchians and Scythes of India brought up in Greek literature unanswered.<sup>33</sup> In our opinion, A. Urushadze provides a rather substantiated answer to the latter problem<sup>34</sup> but here we will not discuss it further.

Currently, in modern historiography, the opinion that the term 'Sardonian' could be associated with the name of one of the Aegean tribes 'Shardana' has developed a rather solid basis. This tribe intensively features on the list of the so called 'Sea Peoples' and is mentioned in ancient Egyptian sources from the 14<sup>th</sup> century BC (so called Amarna Period). Their warriors are, in some cases, referred to among the garrisons of Egyptian pharaohs as allies (e.g. under Ramses II), and in others - they

<sup>27</sup> G. Eliava, Toponymy of Senaki District, Tbilisi, 1989, p. 66.

<sup>28</sup> Куфтин Б.А. Материалы... т.И, Тб.1950, pp. 92-93.

<sup>29</sup> D. Braund, Indian Merchants in Phasis, Trade on the Black Sea in Archaic and Classical Period. Historical Prospect of Silk Road, Dziebani, Appendix, Tbilisi, 1999, I, pp. 7-8.

<sup>30</sup> Ibid. p.8.

<sup>31</sup> ibid. p. 7.

<sup>32</sup> Ibid.

<sup>33</sup> Theopompus of Chios, F.Mist Gr.I fr356(340), A. Urushadze, Ancient Colchis in the Myth about the Argonauts, Tbilisi, 1964, TSU, p. 295; John Tzetzes, Commentaries (Cassandra), v. 887; A. Urushadze, named work, p. 309.

<sup>34</sup> A. Urushadze, cited work,



means (consequently, the yarn was faulty). As far as the means of spinning is concerned, as it is documented through textile terminology, ethnographic materials and archaeological discoveries, there were two types of looms used in Georgia – for so called vertical and horizontal weaving. Each of them, apparently, had their specific function in terms of both time and region. Horizontal looms were mainly used in lowlands, although there were vertical ones found there too; however, in highlands it was largely the vertical type that coexisted with the horizontal one.<sup>44</sup> According to B. Kuftin, whose opinion must be backed by some ethnographical data,<sup>45</sup> in Megrelia flax weaving must have occurred on the so called ‘medium’ horizontal loom. In our opinion, we have to seek the basis for it in the data provided by Herodotus, according to which Egyptians were related to Colchian people and that they both processed flax in the same way. It is a known fact that they used horizontal looms in Egypt for weaving flax. Unlike those, pulled vertical looms were common throughout Greece and central Europe during the Classical period. Pictures of identical looms are known from the seventh c BC pottery of Hungary and the Greek vases of the sixth century BC.<sup>46</sup>



As a result of compiling ethnographical material and archaeological sites both from eastern and western Georgia, a rather interesting picture is provided in regard with the time of distribution and the shape of looms in Georgia. As the technological analysis of the fabric recovered through archaeological excavations on Bedena Hill in 1966 showed, it had been produced on the so called vertical loom in the 19<sup>th</sup> century BC.<sup>47</sup> It is indicated

in the scholarly literature that Georgian vertical looms are, in some ways, different from the Greek ones that have certain advantages. We consider that in this case we have to take into account the factors of time and the progress experienced by the Greeks.

Archaeological materials give interesting data about the types of looms common in Colchis. While excavating ‘Dikha-Gudzuba’ near v. Reka, N. Khoshtaria revealed a large number of stone and ceramic spindle whorls, loom-weights.<sup>48</sup> Such loom-weights have been found at the Black Sea coast, namely in Ureki,<sup>49</sup> two samples of two-faceted pyramidal loom-weights have been recovered at Eshera. B. Kuftin regarded these samples as the analogs of the loom-weights of a Greek vertical loom. For a long time identical ceramic items were considered either sinkers of fishing

<sup>44</sup> K. Isakadze, named work, p. 86.

<sup>45</sup> G. Chachashvili, *Georgian Popular Looms*, SSMM, Tbilisi, 1954, v. XVIII.

